ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

სექტემბერი
№ 9 1968 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ჰოი, მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი“...

ნ. ბარათაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნ. ბარათაშვილი. მხატვარი ლ. გუდიაშვილი.

# 150

„ბარათაშვილმა... ჩვენს აზრს, ჩვენს გულისთქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი განი და სიღრმა-ვე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველის თანამოზიარედ გაუ-ხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველის დააწაფა.“

ილია ჭავჭავაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკოლოზ ბარათაშვილი

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს.

„მერანი"



ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!

„ბედი ქართლისა"


ლექსნი
ნ. ბარათაშვილისაგან
1879

## სული ობოლი

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას!
საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი,
ძნელღა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!

მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!

არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;
ეშინიან, იკრძალვის, არღა იცის,
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,
ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა!

ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!

1839 წ.

• • •

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი,
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!

„ვპოვე ტაძარი"

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!

„ფიქრნი მტკვრის პირას"

## (ვარიაციები პოეტის თემებზე)

**აკაკი ბაქრაძე**

ორმოცამდე ლირიკული ლექსის, ერთი პოემის, რამდენიმე სახუმარო ეპიგრამისა და ორიოდე თარგმანის კრებული ძევს ჩვენს წინაშე. შეგვიძლიათ იგი ჯიბით ატაროთ. მაგრამ რაოდენ მნიშვნელოვანია ეს საჩუქარი ქართველი ხალხისათვის, კაცობრიობისათვის!

არც ერთ ჩვენს ლირიკოსს არ გაუმდიდრებია თავისი ერის სულიერი და გონებრივი სამყარო ისე უხვად, როგორც ბარათაშვილს.

• • •

ნიკოლოზ ბარათაშვილი წერდა მხოლოდ აუცილებელი და სავალდებულო სიტყვებით. მის პოეტურ მონოლოგებში ნატამალიც არ მოიძებნება ლამაზი ან მჟღერალა ფრაზისა. არც ერთი ტაეპი პოეტის ლექსისა არაა ნავარაუდევი ტრიბუნიდან სათქმელად. მათი სიტყვიერი ფაქტურა შინაგანი ხილვებითაა ავსილი და მოგიწოდებთ მგოსნის არსებაში ჩასახედად; მოკლედ — ბარათაშვილის ლექსი არაა განკუთვნილი აპლოდისმენტისათვის, — ამ მერყევი, ეფემერული და ძალზე ღარიბი საზღაურისათვის ცხოვრებასა და მწერლობაში.

ბარათაშვილის პოეზიის გაცნობა უმალვე არწმუნებს დაკვირვებულ მკითხველს, რომ მისი მთავარი გმირი თვითონ ბარათაშვილია.

• • •

არა გრაციოზული ჟესტი ან მსუბუქი ფარფატი თემებზე, არამედ მუდმივი სერიოზულობა და მკაფიოდ გამოხატული სუბიექტივიზმი განმსჭვალავს ბარათაშვილის ლირიკას.

მოკვდავთა საზეიმო ფუსფუსს, შუშხუნებსა და ფეიერვერკებს, ბაზრის ან მეიდნის ხმაურს არ მიუზიდავს ბარათაშვილის გულისყური. სალონურ შეკრებებსა და წვეულებებში მისი მონაწილეობა არსებითად უბრალო გართობა იყო ყველასათვის „სტოლნაჩალნიკად" ცნობილი, მაგრამ შინაგანად ღრმა ახალგაზრდისათვის.

და სკეპსისის აჩრდილი ყოველთვის ატუზული იდგა ბარათაშვილის გვერდით.

• • •

საქართველოს ისტორიული ბედ-იღბლის საკითხი („ბედი ქართლისა", „სამარე მეფის ირაკლისა", „სუმბული და მწირი"...); ინტიმური დიალოგი თავის დემონთან („ხმა იდუმალი", „სულო ბოროტო"); ტემპერამენტის სტიქიონური მოზღვავება („მერანი") ან სულის წამლები ღიმილით თხრობა თავისსავე აჩრდილთან მოთამაშე საყურეზე („საყურე"), — ამგვარი მრავალფეროვნება და კონტრაპუნქტული ხასიათი ბარათაშვილის ლირიკისა ნაკლებად პოულობს ანალოგს ქართულ და მსოფლიო პოეზიაში.

დაბოლოს, ლოცვის მელოდიური პასაჟის რხევა დუმილის მიჯნასთან, როცა თვით დუმილის მიღმა ნელა იკეცება დაღლილი იალქნის აფრები („ჩემი ლოცვა") — ნიკოლოზ ბარათაშვილის იშვიათ სულიერ სიმდიდრეს მეტყველებს...

გამოთქმის ინტენსივობის სფეროში ბარათაშვილის ნიჭიერება განუსაზღვრელია.

• • •

წინამდებარე ვარიაციები ზემოთჩამოთვლილ ლეიტმოტივთა გადმოცემის ცდაა. მაგრამ ჩონჩხი არაა ორგანიზმი. ნებისმიერ განმარტებათაგან თავის დაღწევას ზოგჯერ არც უცდომელი გემოვნება შველის, არც ერუდიცია. ბარათაშვილის ლექსის სრულყოფილ გაგებასა და ათვისებას სჭირდება უფრო მეტი, ვიდრე ილტაცების უნარი ან განსწავლულობა.

ვფიქრობთ, ბარათაშვილთან უხილავი კონტაქტის დამყარების ცდას შეუძლია ნაწილობრივ მაინც დაძლიოს ეს რთული ამოცანა.

• • •

ბარათაშვილის პიროვნება უკვე თავისი არსებობის აქტით წარმოადგენდა იშვიათ მოვლენას XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ოდნავ ქვედახრილ-გუგებიანი თვალებით, მკვრივი აგებულების ეს ახალგაზრდა კაცი, სიკვდილამდე მხოლოდ ერთხელ რომ გამოსცადა რაღაც ავადმყოფობა, სრულიად ჯანსაღი ადამიანი გახლდათ. ნაცნობ-მეგობართა შორის, ერთი შეხედვით, იგი ყველას ჰგავდა, განსაკუთრებით იმ „ხახვის ფრანტებს", სამხედრო კარიერაზე რომ ოცნებობდნენ და თეთრდოლბანდიანი იმამის დასამარცხებლად მიისწრაფოდნენ დაღესტნის მთებისა და ღრანტეებისაკენ. ბარათაშვილს კი არ აღუსრულდა სამხედრო სამსახურში მოწყობის ოცნება, 30-იან და 40-იან წლებში, ამ „ყრუ წლების" ხანაში, იგი თბილისში დარჩა ძალაუნებურად და თავისი კვიმატი ენამახვილობით ხანგადასულ კნეინებს აჯავრებდა ან შინაურებს (მაგალითად, თავის ბიძას ილიას) იწვევდა დუელში. და, თუ ოფიცრის მედლებს არ დაუმშვენებია მისი მკერდი, სამაგიეროდ ბარათაშვილის შემოქმედებამ არ იცის ისეთი საბედისწერო პაუზა, როგორიც გენერალ გრიგოლ ორბელიანის პოეტურ ბიოგრაფიაშია ცნობილი.

თანამედროვეებს ნაკლებად ესმოდათ მისი. ნამდვილად იგი არავის ჰგავდა.

გიორგი ერისთავს მსუბუქ ადამიანად გამოჰყავს ტატო ერთ თავის კომედიაში („შეშლილი"); პუშკინსაც „თავქარიანს" ეძახდნენ პეტერბურგის არისტოკრატიულ სალონებში, ხოლო ხლესტაკოვები ტრაბახობდნენ, რომ ისინი ბრუდერ-შაფტს მიირთმევდნენ „ევგენი ონეგინის" ავტორთან ერთად. ხლესტაკოვებს, საერთოდ, ყველა დროში სჩვეოდათ დიდ ადამიანებთან ფამილარული გატოლება.

ომის ასპარეზის გარდა, როგორც მისი სრული ანტითეზი, ბარათაშვილს მშვიდობიანი ცხოვრებაც იზიდავდა. თითქოს მის არსებობაში აკვიატებულ და მშფოთვარე დემონს მფარველი ანგელოზი ებრძოდა და პოეტის ცხოვრების ნავს მყუდრო სადგურისაკენ ეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდა. ბრწყინვალე მარტოობა, ბაირონის მიერ ნანატრი „სპლენდიდ იზოლეიშნ“, ბარათაშვილის ოცნების საგანიც იყო: მომეცით მე დამოუკიდებელი არსებობა და უმალ დავუტევებდი ქვეყანასა და ადამიანებს მათი გაუმაძღრობით, და მშვიდად გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას ბუნების წიაღში, ეგზომ დიადი და მშვენიერი რომ არის ჩვენს სამშობლოშიო, — სწერდა იგი ბიძას, ზაქარია ორბელიანს, 1844 წელს.

ასე წერდა „მერანის“ ავტორი, რომელმაც ექსტატიური ყიჟინით ამცნო თანამედროვეთ: ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორისო.

ხომ არ გვაგონებს ყოველივე ეს „ნიუსტედტის სააბატოს“ მფლობელის, ბარათაშვილივით ფეხდაზიანებული და მეამბოხე ბაირონის ღაღადისს, ამქვეყნად თავის მიუსაფრობასა და იმავე დროს მშვიდი ცხოვრების ოცნებაზე?

ნიკოლოზ ბარათაშვილის ხანმოკლე ცხოვრებაც მსგავს პოლარულ განცდებს შორისაა მოქცეული.

* * *

ბარათაშვილის ლირიკა ჯერ საკუთარ მე-ზეა პროექცირებული, მერმე კი გარეშე სინამდვილეზე (როგორც ჰორაციუსის ოდები, როგორც მარკუს ავრელიუსის პროზა, როგორც შუბერტის „მერვე დაუმთავრებელი სიმფონია“...). „ჩაღრმავდი საკუთარ თავში!“ — ურჩევს პოეტი ბიძამისს ზემოთ ციტირებულ ბარათში.

ბარათაშვილის ლირიკა პოეტის მიერ მოკლედ გამოთქმული ამ პოსტულატის შეუდარებელი მხატვრული რეალიზაციაა.

* * *

ღამითაც კარგად ჰვრეტს ბარათაშვილი თავისი გულის „პირველი საგნის“ ვინმე ნინოს „ბუდეშურ ფეფებს“ („ღამე ყაბახზედ“), — იგი გამოსახვის იშვიათი პლასტიკური ნიჭითაც იყო დაჯილდოებული. ღამის ის თვისება, როცა საგანთა მკაფიო კონტურები წაშლილია, ან ბინდბუნდში გახვეული არემარე მთვარის დისკოს ნათელითაა მკრთალად გაშუქებული მთაწმინდაზე ან სასაფლაოზე, — საოცრად აახლოებს მას ნოვალისსთან, რომელსაც ასე სძაგდა „დღის უტიფარი ნათება“. „ღამისადმი ჰიმნების“ ავტორივით, ქართველი პოეტისათვისაც ღამე ერთგვარი სტიმული იყო საკუთარ არსებაში აღმოცენებულ შეგრძნებათა საკვირველი მხატვრული ძლიერებით გამოსახვისა. ამასთან, თუ ნოვალისის „ჰაინრიხ ფონ ოფტერდინგენის“ გმირი „ცისფერ ყვავილს“ ეძებდა, ბარათაშვილსაც „ცისფერი“ ატყვევებდა.

შორეულად მონათესავე პოეტების ლექსებში ხშირად ერთნაირი სულიერი შეგრძნებანია ასახული მაშინაც, როცა პირდაპირი გავლენის მომენტი ნამდვილად გამორიცხულია.

ამასთან ნ. ბარათაშვილი, ნოვალისისაგან განსხვავებით, მზის ამოსვლას შესტრფოდა, რომელიც ყველა ბინდბუნდს გაანათებდა.

* * *

ამიტომაა, რომ ნ. ბარათაშვილის თითქმის ყველა პესიმისტური ნაწარმოები ბრძოლის აქტიური სულითაა გამსჭვალული. ნ. ბარათაშვილი იყო თავისი ქვეყნის დიდი მოქალაქე, 1832 წლის შეთქმულთა რადიკალური ფრთის მოწინავე პოლიტიკური და საზოგადოებრივი მისწრაფებების გამზიარებელი, რაზნოჩინელ სოლომონ დოდაშვილის მოწაფე რესპუბლიკური იდეების სფეროში. თუ მასწავლებელი აცხადებდა ქართული მონარქიის მისამართით, რომ „ერთ კ ე რ ძ ო განუჭვრეტელობამ და ე რ თ კ ე რ ძ ო შ ე ი წ რ ო ვ ე ბ ა მ ა ნ ძლიერთა ერთამან, მიიყვანეს საყვარელი მამული ჩვენი ესე ვითარ ხარისხამდე დამდაბლებისა... მავიწყებელი მოქალაქებრისა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ა“ (1828), — ადეპტიც ამასვე იმეორებდა სოლომონ ლეონიძის სიტყვებით მონარქიისა და თვით ხელმწიფის მისამართით („ბედი ქართლისა“, 1839):

„მადლობა, ღმერთო, შენსა განგებას!
ერთს კაცს მომადლებ ყოვლთა უფლებას
. . . . . . . . . . . . . . . . .
მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება
სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება,
მისდევდე შენსა გულისკვეთებას
და უთრგუნვიდე თავისუფლებას?“

ასეთი პროგრამული სიტყვები შეეძლო წარმოეთქვა რომელიმე რესპუბლიკელ კატონს, და არა მე-18 საუკუნის ქართველ მონარქისტ სოლომონ ლეონიძეს.

ტრივიალურად იქცა ციტირება ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებისა:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან“...
ან:
„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის“...
და ასე შემდეგ....

ბარათაშვილის, როგორც თავისი დროის კულტურტრეგერის, მთარგმნელის, მშობლიური ლიტერატურისა და თეატრის განვითარებისათვის მზრუნველის შესახებ ისედაც ბევრი დაწერილა. ასე თუ ისე, გარკვეული ვართ მწერლის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ შეხედულებებში. მაგრამ ის, რაც აშკარად და თვალნათლივ ჩვენს წინაშე ძევს, ჯერ კიდევ არ გულისხმობს ბარათაშვილის ამომწურავ გაგებასა და დაფასებას. ცხადია, მცირე მოცულობის ეტიუდში ყველაფრის აღნუსხვა შეუძლებელია. ჩვენი მიზანი მხოლოდ პოეტის ზოგიერთი ლექსის ესთეტიკური კორელატის მითითებაა.

ბარათაშვილს ეკუთვნის საკვირველი ტაეპები:

„და კაცსა შორის, ვით კერძოსა ღვთაებობისა,
რად გრწამს, არ იყოს საუკუნო მადლი ტრფობისა“.

ბარათაშვილი თვითონ იყო ღვთაების წილი, მის „კერძო“ და „საუკუნო მადლს“ უძღვნა ჭეშმარიტად ღვთაებრივი სუნთქვით გამთბარი ტაეპები:

„შევიშრობ ცრემლსა, ჰირთ მანელებელს,
გულსა დავიწვავ დასანაცრებელს,
და მისსა ფერფლსა, ვითა საკმეველს,
შევსწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს!

* * *

მისთ თვალთა ხარობს სამოთხე ჩემი,
მისი ღიმია შვების მომცემი,
ჩემი წარმწყმედი, მაცხონებელი,
განმაბრძნობელი, გამხელებელი!

* * *

ვით არ ვადიდო სიტურფის ღმერთა!
ყოვლნი კეთილნი მან შეიერთა,
სულსა მოჰბერა ცის ნიჭნი ქვეყნად
და თავის მკობად ქმნა იგი მგოსნად“.

ეს ლექსი დაამშვენებდა გენიოსი ფლორენციელის „ახალ ცხოვრებას“ ან ავინიონის აბატის განთქმულ „კანცონიერეს“. არც მეტი და არც ნაკლები.

ზემოთმოტანილი ჰიმნი კი ანჩისხატის უბანში მცხოვრებ ოქროპირს ეკუთვნის. მხოლოდ „საუკუნო მადლის“ წინაშე იხევდა უკან ჩვენი პოეტის არსებაში სკეპსისის აჩრდილი.

* * *

ხშირად დიდი პოეტის მხატვრული მემკვიდრეობა მხოლოდ ნაწილობრივად ობიექტირებულ შესაძლებლობათა შთაბეჭდილებას ტოვებს. განსაკუთრებით ეს ითქმის ბარათაშვილზე. მისი ნაად-

რევი სიკვდილი ყველაზე დიდი კატასტროფაა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

და მაინც: რამდენად ჩამორჩენილნი ვჩანვართ მასთან შედარებით! ყოფილი „სტოლნაჩალნიკი", ბოლოს ცხენზე მჯდომი, მათრახით ხელში რომ დასდევდა განჯის მახლობელ ტყეებში ყაჩაღებს შესაპყრობად, — ქართული ლირიკის მწვერვალადაა აღმართული. ეს გაღარიბებული არისტოკრატი, საქართველოს რუსეთთან შეერთებაში, მშობლიური ქვეყნის კულტურულ ძალთა გამდიდრებისა და მომავალი ეროვნული გამოღვიძების საწინდარს ხედავდა. ბარათაშვილამდე სულ რამდენიმე ათეული წლის წინ ქართულ პოეზიას სპარსული ბაიათებისა და მუხამბაზების ხმები ავსებდა, ბარათაშვილს კი, ამიერიდან, რუსეთის მეშვეობით დასავლეთიდან მოზიდული „თესლი ძვირფასი" ეზმანებოდა. ბარათაშვილს სწამდა, რომ:

ყველასა აქვს ჟამი და ბოლო...
. . .
ზამთრობით ბუნება არა ჰკვდება...
. . .
და მყის ვითარის შვენებითა კვლავ შეიფურცვლის,
ოდეს მერცხალნი ახარებენ მოსვლას საყვარლის!

ბარათაშვილი ღრმად იყო დარწმუნებული მშობლიური ქვეყნის დიად მომავალში და იგი არ შემცდარა.

* * *

ბარათაშვილი სალექსო რიტმის დიდი ხელოვანი იყო და, როგორც ყველა ჭეშმარიტი ლირიკოსი, ამ სფეროში მანამდე მიკვლეულ ფორმებს ეყრდნობოდა (ზესიკის 14-მარცვლიანი საზომი, შავთელური და სხვა). მისი ლექსის სტრუქტურულ ინგრედიენტებს გამოგონილი საზომები კი არ შეადგენენ, არამედ უკვე ნაცნობი, მაგრამ ფუნქციონალურად სახეცვლილი მეტრები. არც ერთი რიტმული სქემა პუშკინისა ახალი არაა; რიტმის უდიდეს ჯადოქარს მუსიკაში, ბეთჰოვენს, გამოგონილი სიმეტრიებისათვის არ მიუმართავს. ნოვატორთა მიგნებული ხერხები უნდა გაცვდეს, რათა მათ ახალი სიცოცხლე გენიამ მიანიჭოს.

ამჟამად არავის მოუვა ფიქრად, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის ტაეპი — „ჰოი, საღამოვ, მყუდროვ, საამოვ..." — გენეტიკურად დაუკავშიროს ბესიკის ტაეპს — „ტანო ტატანო, გულწამტანო..." — და ა. შ. ნამდვილად კი, ბარათაშვილის შესანიშნავი ტაეპის შორეულ ფერმენტს სწორედ ბესიკის ზემოთმოტანილი მუხამბაზური ტავტოლოგია წარმოადგენს.

საერთოდ, პოეზია ასეთი ფერმენტების შეუმჩნეველი ასიმილაციის მომენტებს შეიცავს. მათი გალხობა მხატვრულ მეტყველებაში ღრმა აზრის ულმობელი ზეგავლენით მიმდინარეობს. პოეტურ სუბსტრატში პირვანდელ ფერმენტთა დაჭერა ლიტერატურის, როგორც სისტემის, ისტორიულ პერსპექტივაში შესწავლას მოითხოვს.

* * *

ბოლოსდაბოლოს სანთელი უნდა დაიწვას. პოეტის მისიაც მუდმივ შემოქმედებითს წვაშია.

ოდესღაც წარმართი და შემდეგ გაქრისტიანებული ნეტარი ავგუსტინე წერს „აღსარებაში" („კონფესიონ"), რომ ისტორიის პათოსს დამწვარ სულთაგან ავარდნილ ალთა ელვარება ქმნისო, ხოლო მუსლიმანი ნიზამი „საიდუმლოთა საგანძურში" ურჩევდა მგოსანს:

„იქეც სანთლად და გაიხარე თავისივე თავის შთანთქმით!"

ბარათაშვილის სულიდან ამომავალი ნათელის ელვარება ისე დიადი და დამაბრმავებელია, რომ მას არ უწერია ჩაქრობა წელთა მარადიულ სვლაში.

ნ. ბარათაშვილის დები და დისწულები. სხედან: ბარბარე, ნინო, გიორგი (ბარბარეს შვილი), სოფიო; დგანან: ქეთო და ნინო (ბარბარეს შვილები).



ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ ნონეშვილი

# ბარათაშვილის სურათი

მისი სურათი ნაპოვნი არის!
მოღლილი სხივი გვიანი მთვარის
მამადავითზე ობლად რომ ტყდება
და ამომავალ მზეს ეგებება,
ეს მისთა თვალთა, შავი ზღვის დართა,
უძირო სევდის ნათელი არის.
მისი სურათი ნაპოვნი არის!

როს საარაგვოს დაჰბერავს ქარი
და მთვარიანში მცხეთამდე ისმის,
რა ნაღვლიანად შრიალებს ისლი,
ქარი კი არა, მტკვარი კი არა,
ეს შორეული სუნთქვაა მისი.
მისი სურათი ნაპოვნი არის!

როს სვეტიცხოვლის ტაძარში მდგარი
ერეკლეს საფლავს მადლობით უმზერ
და ნათლის სვეტი გეცემა გულზე,
მგოსნის ფიქრი და ხმა იდუმალი
შენში გადმოდის უხილავ ძალით.
მისი სურათი ნაპოვნი არის!

განა მხატვრები, დიდი მხატვრები,
ასჯერ, ათასჯერ არ ინატრებენ,
ისე დახატონ მათ თვისი თავი,
აღბეჭდონ სულიც და ფიქრთა ღელვაც,
ვით შესძლო მგოსნის ჯადოსნურ ხელმა?!
მისი სურათი ნაპოვნი არის!

მოზარნიშული სატევრის ტარი
ქართულ ქულაჯის კალთაზე ბრწყინავს...
ვინა სთქვა, თითქოს საფლავში სძინავს,
ისიც იბრძოდა ივერის მთებთან,
მისი სიტყვებიც გულს გვინათებდა...
მისი სურათი ნაპოვნი არის!

ვარსკვლავო ჩემო, მთაწმინდის ზემოთ,
განთიადზე რომ დაიწყებ ციმციმს
და თითქოს ჩუმი ოცნებით იწვი,
მგოსნის ობოლი სული ხომ არ ხარ,
მშობლიურ ცაზე მარტოდ რად დახვალ?
მისი სურათი ნაპოვნი არის!


ძეგლი მთაწმინდაზე.

# პოეტის

გენიალური ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის გახსენების დროს სიყვარულითა და პატივისცემით უნდა მოვიგონოთ მისი დედა, შესანიშნავი ქართველი ქალი — ეფემია დიმიტრის ასული ორბელიანი-ბარათაშვილი. მას უნდა უმადლოდეს ჩვენი ერი ესოდენ საამაყო და სასიქადულო შვილის აღზრდას.

თანამედროვეთა გადმოცემით, ეფემია ქერა, პირხმელი, სანდომიანი სახის ქალი ყოფილა. მის კენარ ტანს მეტად ამშვენებდა თურმე გულისპირამოჭრილი ქართული კაბა. იგი შინაურულად კარგად აღზრდილი, ნაკითხი, გათვითცნობიერებული ადამიანი იყო. იცოდა ლამაზად წერა... თხუთმეტი წლის ეფემია ცოლად გაჰყვა მელიტონ ბარათაშვილს.

მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე იონა მეუნარგია ეფემიას — „სამგზის კურთხეულ დედად“ იხსენიებს. ასევე პატივისცემითა და სიყვარულით ლაპარაკობენ ეფემიაზე მისი თანამედროვეები და ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფები.

ეფემიას ღირსეულ ქალობას უმღერის მისივე ძმა, გამოჩენილი ქართველი პოეტი გრიგოლ ორბელიანი ცნობილ ლექსში: „ჩემს დას ეფემიას“. ლექსი დაწერილია ქ. რიგაში და პოეტის მძიმე სულიერ განწყობილებას გამოხატავს. ავტორი სათაყვანებელი დის — ეფემიას ჭეშმარიტ ქალურ ბუნებაში ეძებს ნუგეშსა და სასოებას:

„ჩემდა ნუგეშად, ჩემდა შვებად
სასიხარულოდ,
ლხენად გლახ გულის უდროოდა მწარ
დამჭკნარისა,
დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი
მხოლოდ,
და განმასვენე კვეთებათგან ბოროტ
მხვედრისა!
ცხოვრების ბნელ გზას შენ მინათი
შვების ვარსკვლავი,
შენის ღიმილით შეჭმუხვნილი სახე
მინათლე,
შენი ალერსი მშვიდი, წყნარი, მიხარის
შორით,
და გულ დაჩაგრულს მენატრების კვალად
სიცოცხლე!..“

ბევრი არ მოინახება მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, პიროვნებისადმი მიძღვნილ ლექსთა შორის, ასე გულწრფელი, ღრმაშინაარსიანი, ამაღელვებელი ლექსი, როგორიცაა „ჩემს დას ეფემიას“. პოეტს, გარდა გულწრფელი და-ძმური სიყვარულისა, ეფემიასთან სულიერი მეგობრობაც აკავშირებდა. გრიგოლი შეჰხაროდა ჭკვიანსა და უაღრესად კეთილშობილ ეფემიას. და-ძმას შორის სიყვარულსა და მეგობრობას ჩრდილი არ მიჰკარებია...

მელიტონისა და ეფემიას ოჯახი მრავალშვილიანი ყოფილა, სამწუხაროდ, ცხრა მცირეწლოვანი ბავშვი ადრე დაღუპვიათ. შვილების სიკვდილმა და მწუხარებამ შეარყია ეფემიას ჯანმრთელობა და ხშირად ავადმყოფობდა.

ეფემიას დედობრივ ალერსში პოულობდა სიცოცხლის ძალას ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელსაც ბავშვობიდანვე ალერსით ტატოს ეძახდნენ. დედის კალთაში იღვიძებდა ტატოს პირველი ბუნდოვანი ოცნებები და შთაბეჭდილებები, რომელნიც შემდეგ მის პოეტურ გენიას უკვდავ ქმნილებებად უნდა ჩამოესხა.


გრიგოლ ორბელიანი

სხვა მრავალი თავადის ქალებისაგან განსხვავებით, ეფემიამ თავად აწოვა ძუძუ პატარა ტატოს. შემდეგ მანვე ასწავლა შვიდი წლის ბავშვს ქართული ანბანი.

მომავალი პოეტის აღზრდაში გარკვეული წვლილი მიუძღვის აგრეთვე გამზრდელს — გორელი გლეხის ნონია ზავრიშვილის ასულ მაიას, რომელიც, როგორც გულისხმიერი აღმზრდელი, ბარათაშვილის ოჯახში ყველას პატივისცემას იმსახურებდა. მაიასაგან ისმენდა პატარა ტატო ხალხურ თქმულებებს დევგმირებზე, ზღაპრულ რაშებზე, მამაც ადამიანებზე...

დედამ ტატო ჯერ კალოუბნის, შემდეგ კი კეთილშობილთა სასწავლებელში მიაბარა. მშობელი თავს ევლებოდა შვილს, გამუდმებულ ყურადღებას აქცევდა მის ყოფაქცევას, სწავლას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დედა

## „კოი, დედანო, მარად ნეტარნო...“



პოეტის დედა ხელით სუმბათაშვილისა.

ტატოსათვის მშობლების ოჯახიც ერთგვარი სკოლა იყო: იქ ხშირად იყრიდნენ თავს გამოჩენილი მწერლები და მოღვაწეები. ისინი გულახდილად ბჭობდნენ ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და ლიტერატურაზე, საქართველოს უკეთეს მომავალზე...

ნიკოლოზის ხასიათის ჩამოყალიბებაში ეფემიას სათნო ხასიათს მიუძღვის განსაკუთრებული როლი, ნიკოლოზი აფასებდა დედის მის სათუთ გრძნობებს, ყრმა პოეტი შეჰხაროდა გულისხმიერ მშობელს, რომელიც ტკბილი, მაცოცხლებელი ალერსით უთბობდა შვილს გულს.

ხელგაშლილ ცხოვრებას ჩვეული მელიტონ ბარათაშვილი ისე გაღარიბდა, რომ ხშირად ცოლის ნათესავებს „დიდ გაჭირვებაში“ ყოფნას აცნობებდა და დახმარებას სთხოვდა. მამულის ნაწილ-ნაწილ გაყიდვამ ვერ იხსნა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ოჯახი. ამ საკითხთან დაკავშირებით, საინტერესოა ცენტრალურ არქივში დაცული საბუთი, რომელიც 1831 წელს, ეფემიას თხოვნის გამო, დაიწერა. საბუთში აღნიშნულია: „რეზოლუცია ეფემია ბარათაშვილის თხოვნაზე მისი ქმრის კუთვნილი ორი კომლი გლეხის გაყიდვის შეჩერებაზე. რადგან თხოვნა უბრალო ქაღალდზეა დაწერილი, იგი უკანვე დაუბრუნდეს ყოველგვარი მსვლელობის გარეშე“.

მოსალოდნელია, რომ პოეტის დედას ეს თხოვნა მისმა კეთილშობილმა გულმა დააწერინა: როგორც ჩანს, მან ანგარიში გაუწია ყმათა თხოვნა-მუდარას და მათი გაყიდვის შეჩერება გადაწყვიტა.

ეფემია შეხაროდა სამაყო შვილს. უპირველესად მისთვის და გრ. ორბელიანისათვის იყო ცნობილი ნიკოლოზის ნიჭის ნაყოფი — მარგალიტებად ასხმული ლექსები. ისინი აფასებდნენ ახალგაზრდა პოეტს და გონების თვალით ჰჭვრეტდნენ მის ბრწყინვალე მომავალს.

ცხოვრების მძიმე, გამოუვალი პირობების გამო, ნიკოლოზ ბარათაშვილი იძულებული გახდა საყვარელი სამშობლოს საზღვრებს იქით ემსახურა, რათა იქიდან დახმარებოდა გაღატაკებულ ოჯახს, დაემშვიდებინა ტანჯული დედა.

„სიყრმითვე უბედურ“ ეფემიას, რომელსაც ცხოვრება შარბათის ნაცვლად საწამლავს ასმევდა, 1845 წელს, საყვარელი შვილის სიკვდილმა, ენით აუწერელი მწუხარება არგუნა.

... იმ ხანებში, საქართველოდან შორს წასულ გრ. ორბელიანს, რომელსაც ავადმყოფობა და თავისიანებთან სიშორე დიდად აწუხებდა, უმცროსი ძმა ილია ატყობინებდა და ამხნევებდა:

„... ამ საწყლების მელიტონისა და მისი ცოლ-შვილის ყურებისათვის ვეღარ გამიძლია. გულს ცეცხლი მეკიდება და იფიქრე ჩვენი ცხოვრება. ნეტავი შენა, რომ მელიტონსა და ეფემიას არა ხედავ! შენი ჭირიმე გრიგოლჯან ეს ამბავი ქრისტიანული მოთმინებით მიიღე და ნუ შეიწუხებ მაგ ავადმყოფობაში თავს...“

მსოფლიო გოდების ზარს ჰგავს გამწარებული ეფემიას მოთქმა გრ. ორბელიანისადმი მინაწერ ბარათში:

„მე უბედური, უბედურად ქმნილი, მოვაკლდი ჩემს სიხარულს შვილს, და რა შვილს? რომლისგანაც მოველოდი ყოველ სიხარულს. ვაი და ვუი ჩემს მოსწრებას, ჩემი თვალის დაბნელებას!..“

უბედურმა დედამ განჯაში მოინახულა ძვირფასი შვილის საფლავი და ცხარე ცრემლები დააფრქვია. ჩაიბარა ნიკოლოზის გადარჩენილი ნივთები და თბილისში წამოიღო.

ეფემიას ჯანმრთელობა შეარყია შვილის უდროო სიკვდილმა. ხშირად იწვა სნეული, ჯანგატეხილი, დამწუხრებული... ვინ იცის, რამდენჯერ უნატრია დედას, რომ ტატოს საფლავი თბილისში ჰქონდა, რათა მისი ნახვით მაინც ეჯერებინა გული!..

როგორც საეკლესიო მშრალი ჩანაწერიდან ირკვევა, „დიდი ხნის სნეულებით“ დაუძლურებული ეფემია 1849 წლის 4 თებერვალს გარდაიცვალა. დასაფლავებულ იქნა თბილისში, ქაშვეთის ეკლესიის ეზოში.

ღირსეულმა ქართველმა ქალმა, სამაგალითო მშობელმა, სანუკვარ და საამაყო შვილს უანდერძა არა ძვირფასი განძი და ადგილ-მამული, არამედ უფრო დიდი სიმდიდრე — სულის სისპეტაკე, სიკეთის შეგნება, მშობლიური ლიტერატურისა და ისტორიის სიყვარული.

**შ. მარკოზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლხინი ბაღში. მხატვარი გაგარინი.

# ტატოს მეგობრები

ზოგჯერ სევდიანი და მოწყენილი, ზოგჯერ საოცრად მხიარული, ენამახვილი, იგი ყველა ოჯახისათვის სასურველი სტუმარი იყო, ყველგან შინაურ კაცად თვლიდნენ, ცდილობდნენ მასთან დაახლოებას, დანათესავებას. მასში ხედავდნენ ღრმად მოაზროვნე ადამიანს, დიდი და ფაქიზი ბუნების პოეტს, ქართლის ბედზე დაფიქრებულს. მას მტკიცე მეგობრობა აკავშირებდა თავისი დროის ყველა შესანიშნავ ადამიანთან — გრიგოლ, ილია, ზაქარია და ივანე ორბელიანებთან, მიხეილ თუმანიშვილთან, თანაკლასელ ლევან მელიქიშვილთან და მრავალ სხვასთან, ვისაც სამშობლოს სიყვარულით უფეთქდა გული, მის სასიკეთოდ ილვწოდა და იბრძოდა. ამ წრეში გარკვეულ როლს თამაშობდნენ თავისი დროისათვის მეტად განათლებულნი, მაღალი მორალისა და ინტელექტის მქონე ქალები. გასაკვირი არაა, რომ ისინი თავს ევლებოდნენ ჭაბუკ პოეტს, შეჰხაროდნენ და დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე. თავის მხრივ, ნიკოლოზ ბარათაშვილი მათში ხედავდა ნამდვილ სულიერ მეგობრებს. უყვარდა მათთან საუბარი, ლხინი და შექცევა. ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები, მანანა და მაიკო ორბელიანები, მართა სოლოღაშვილი, ელენე ერისთავი, ქეთევან ორბელიანი, მარიამ ივანეს ასული ორბელიანისა, მარიამ ფალავანდიშვილი და სხვანი, მწერლობის დიდი მოტრფიალენი იყვნენ. მათ სალონებში ბევრ კარგ ეროვნულსა და კულტურულ წამოწყებას ეყრებოდა საფუძველი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ნიჭმა პირველად მანანა ორბელიანის სალონში ჰპოვა აღიარება. ჟურნალ „ცისკრის“ გამოცემისა და ქართული თეატრის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ორგანიზატორი მანანა ორბელიანი, თავისი პატრიოტული სულითა და ღრმა, ფართო ინტერესით, ყარიბი პოეტისათვის იდეალი იყო. მასში ხედავდა იგი თავისი ქვეყნის გულშემატკივარს, ქართველი ქალის მშვენებასა და სიდარბაისლეს.

ცნობილია მანანა ორბელიანის ლიტერატურული საქმიანობა. მის სალონში იკითხებოდა პირველად ყოველი ახალი ნაწარმოები. ამავე დროს, იგი ბევრს ავალებდა უცხო მწერალთა ნაწარმოებების თარგმნას ქართულად. იქნებ, ლეიზევიცის „იულიოს ტარანტელიც“ მანანას დავალებით თარგმნა ბარათაშვილმა, ისევე, როგორც დიმიტრი ყიფიანმა — შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“.

ბარათაშვილი უაღრესად პატივისმცემელი იყო ქართველი ქალისა, მუდამ ფიქრობდა მის ბედზე, აწმყოსა და მომავალზე. ამიტომაა, რომ ნახჭევანიდან სევდანარევი ირონიით წერდა მაიკო ორბელიანს:

„... მაგრამ ეს მაკვირვებს, არ ვიცი, რა მიზეზია, რომ მანანა მოკითხვითაც არ მკითხულობს? მაგრამ ერთის მხრით, არც კი უნდა დავემდურო, ახლა ჩვენ ვიღას მოვაგონდებით ვიღაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახჩევანში.

ახლა ცა ახალია, ქვეყანა ახალია და მოდაში ოთხმოცი წლის კაცები არიან“.

ეს ახალი ცა, ახალი ქვეყანა აშინებდა ნ. ბარათაშვილს, რომ ქართველ ქალს თავისი ეროვნული სახე არ დაეკარგა. ამიტომ ამბობდა ქართველ ქალებზე:

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?“

ვინ იტყვის, ნიკოლოზ ბარათაშვილი ეკატერინე ჭავჭავაძის მარტოოდენ ეშხითა და სილამაზით იყო გატაცებულიო. ასე რომ ყოფილიყო, ვერც ეკატერინე შეიქმნებოდა პოეტის მუზა. ფრიად განათლებული, ენების, მუსიკისა და მხატვრობის მცოდნე ეკატერინე, ბარათაშვილს ამავე დროს ხიბლავდა თავისი ვაჟკაცური შემართებით, პატრიოტული სულით. ეს ის ქალი იყო, რომელმაც შემდეგში, უკვე სამეგრელოს დედოფალმა, ომარ ფაშა დაიფრინა მშობელი მიწიდან. ახსოვთ დედოფალი ცხენზე ამხედრებული, ბრძოლის შუაგულ ცეცხლში ხმლით შეჭრილი. ცხადია, ასეთი გმირული სულის მქონე ქალთან ბევრი რამ უნდა ჰქონოდა პოეტს საერთო.

ეკატერინე ჭავჭავაძით გატაცებამ შთააგონა ბარათაშვილს ქართული ლირიკის შედევრი:

„ჰოი, საყურეო,
გრძნებით ამრევო,
ვინ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს?
მუნ უკვდავების
შარბათი ვინ სვის?
ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს“.

ვინც იცნობს ამ ლექსის დაწერის ისტორიას, ის ადვილად მიხვდება, თუ რა დიდმა პოეტურმა აღტყინებამ დააწერინა ნ. ბარათაშვილს „საყურე“.

„ლევან, ლევან! გავგიჟდი! მეტი არა ვარ! ეკატერინა აქ არის და მისმა საყურეს თამაშმა გადამრია! ღვთის განაჩენი კაცი ვერ ნახავს ვერაფერს უკეთესსო“, — უთქვამს პოეტს ლევან მელიქიშვილისათვის ერთ-ერთ საღამოზე.

თუ დავუკვირდებით ეკატერინესადმი მიძღვნილ ლექსებს, დავინახავთ, რომ პოეტი თავის მღელვარე, მშფოთვარე სულს ამ გატაცებით იმშვიდებდა. იგი თავისი ცხოვრების „იმედსა“ და „სხივს“ უწოდებს ეკატერინეს:

„ხმით მშვენიერით,
ტკბილის სიმღერით,
ჰაეროვანო, სულს ელხინები;
. . . . . . . . . . . .
მახსოვს, სიამით,
ოდეს ტკბილის ხმით
ვარდსა და ბულბულს მოელხინარე,
პირმცინარითა
სინარნარითა
მგოსნის ყარიბს გულს ესხივმფენარე!“

მართლაც, პოეტის ულიმლამო, უფერულ ცხოვრებაში, სხივმფინარება შეჰქონდა ამ წმინდა გატაცებას. იქ, განჯის ცივ მიწაში დაიფერფლა ამ დიდი გატაცებით სავსე გული. ხოლო მისით შთაგონებული სტრიქონები ეკატერინე ჭავჭავაძემ შემოუნახა შთამომავლობას. სწორედ ამ დიდებულმა ქალმა გადასცა სტუდენტ ილია ჭავჭავაძეს ბარათაშვილის ხელთნაწერი რვეული.

ნათელი შუქივით დგას ნიკოლოზ ბარათაშვილის გვერდით მისი ბიძაშვილი (დედის მხრიდან) — მაიკო ქაიხოსროს ასული ორბელიანი, მასავით გაუხარელი და უბედური, მაგრამ მასავით წმინდა და ფაქიზი. ამ შესანიშნავ ქალს უზიარებდა ყოველთვის თავის გულისნადებს პოეტი. და თუ იგი არა, შეიძლება მაიკოსადმი მინაწერი არც ის ოთხი წერილი შემოგვრჩენოდა, რომლებიც სავსეა პოეტის ფიქრით, ჭეშმარიტი ადამიანური გრძნობებით.

ნიკოლოზ ბარათაშვილს სჯეროდა მაიკოს კეთილშობილური ბუნების, მასთან ყოფნა მიუხაროდა. თუ რომელიმე შეკრებილობას მაიკო ავადმყოფობის გამო დააკლდებოდა, ბარათაშვილს იქ სულიერი მარტოობა დაეუფლებოდა ხოლმე.

გარეგნულად მშვენიერი, სათნო და ჭკვიანთვალებიანი მაიკო, პირველის ნახვითვე იპყრობდა ადამიანის გულს.

დიდი რუსი პოეტი მიხეილ ლერმონტოვი, ლერმონტოვის ნათესავი ალექსი სტოლიპინი, მხატვარი გაგარინი, რუსი პოეტი იაკობ პოლონსკი და სხვები დიდ აღტაცებას გამოთქვამდნენ მაიკოს გაცნობისას. მხატვარმა გაგარინმა მაიკო ორბელიანის შესანიშნავი პორტრეტი შექმნა. პოეტმა პოლონსკიმ კი ლექსით გაიხსენა ეს ნარნარი ქალი:

„აქ აზარფეშა აკეთებდა სუფრაზე რკალებს,
გვახალისებდა ასი ხელი ტაშის გაჩენით
როცა მაიკო საცეკვაოდ გაშლიდა მკლავებს“.

ნ. ბარათაშვილის სულიერი ცხოვრების შესანიშნავი სურათებია გადმოშლილი მაიკოსადმი მინაწერ მის ბარათებში. ამ წერილებში მოჩანს მაშინდელი ეპოქა, „ბრწყინვალე“ საზოგადოების მოდუნებული, უმიზნო ცხოვრება, პოეტის სულის სიობლე.

„არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მომძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში.

ვინც მაღალის გრძნობის მქონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია, ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა, სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკო თავი?

ვიცი, გაიცინებ, ასე გეგონება დამწვარი ვლაპარაკობ. ჭეშმარიტად. მაიკო, ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული. — მოიგონე ცოტახანს დრონი წარსულნი და მაშინ შემიბრალებ. ყმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული, ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას და ვიდრემდის სრულად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი.

ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!“

რაღა მაინცდამაინც მაიკოს შესჩივის პოეტი? იმიტომ, რომ ღმობიერ მაიკოს კარგად ესმის ბარათაშვილის გულის ტკივილი. იცის, ვინც ჰყავს მხედველობაში პოეტს, ვის ეხება მისი საყვედური და ჩივილი. იმიტომ, რომ იგი ყრმა პოეტის მესაიდუმლეა და მეგობარი.

„მაიკო, რაცა გაქვს სათქმელი, რატომ არა მწერ? სულ ერთია, თუ პირად გითქვამს და თუნდ წიგნში მოგიწერია; თუ შენი ამბავია, ხომ იცი, შევინახავ საიდუმლოდ და თუ ჩემი კარგი ამბავია, რატომ არ მანუგეშებ ამ დაობლებულს გულზედ“.

სინანულის გრძნობით იმსჭვალებით ამ სტრიქონების კითხვისას. ნათლად ხედავთ, თუ რაოდენ დიდი გრძნობის დამტევია პოეტის გული. მას თითქოს კიდევ რაღაცის იმედი აქვს თავის დობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისაგან, პატარა საიმედო სიტყვას ელის, რომ მოძრაობაში მოვიდეს მისი გარინდებული ყოფა.

მუხთალმა ბედმა ორივე მეგობარი გაუხარელი გაუშვა ამა სოფლიდან. ისე, რომ ვერც ერთს ვერ აუგო „სიყვარულმა კვალად ტაძარი“.

ნ. ბარათაშვილი საოცარ დიდსულოვნებასა და მეგობრულ სიყვარულს იჩენს მაიკოსადმი. „საყვარელო დაო, მაიკო! შენი წიგნი მამივიდა; დიდად მადლობელი ვარ; ვიცი, რომ გიყვარ-ვარ. მაგრამ შენმა გარდამ, არც შენ ჩემსავით უყვარხარ ვისმე (ერთის მეტს)...“ ამ ერთში ბარათაშვილი, რასაკვირველია, თავის თანაკლასელსა და მეგობარს — ლევან მელიქიშვილს გულისხმობს, რომლის დანიშნულიც მაიკო იყო.

მაიკოს ავადმყოფობით შეწუხებული ნ. ბარათაშვილი, მეგობარს თხოვს თავს გაუფრთხილდეს, გული გაიმაგროს, რომ მარტო მის თავზე არ ხდება უბედურებანი, სხვანიც არიან ამ მხრივ ჩაგრულნი და უბედურნი (აქ, რასაკვირველია, თავის თავს გულისხმობს).

„შენი ავადმყოფობა შევიტყვე, რა დაგემართა? თუ ფიქრობ ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რომ არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადლიერი იყოს ამ წუთი სოფლისა.

დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა — აი, ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან. თუმცა აქიმბაში არა ვარ, მაგრამ ეს წამალი სიზმარში მაქვს ნასწავლი, და თუ დამიჯერებ, იმედი მაქვს, რომ გარგოს“.

და კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი მეგობარი ჰყავდა ჭაბუკ პოეტს — ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონის მშვენება და სილამაზე გრძელნაწნავებიანი მართა სოლოღაშვილი. ცნობილი გერმანელი მწერალი და მეცნიერი ფრიდრიხ ბოდენშტედტი აღფრთოვანებული წერდა მართა სოლოღაშვილი-ერისთავის ქალის მომხიბვლელობაზე.

„ლეკურის“ უბადლო შემსრულებელთან — მართა სოლოღაშვილთან ცეკვავდა დიდი პოეტი მოლხენის ჟამს. მაგრამ მათ უფრო მაღალი ინტერესები აკავშირებდათ ალბათ ერმანეთთან.

ნიკოლოზ ბარათაშვილი დიდად სცემდა პატივს ამ ქალის ქველმოქმედებას და სასცენო მოღვაწეობას. გათხოვებისას აკი თასიც მიართვა წარწერით:

„ვლოცავ დღეს ჩემის გაჩენის, ბედნიერი ვარ მე, თასი;
სამღერალო ვარ ტურფა ხელთ და მოსალხინო მართასი“.

მშვენიერ მართა სოლოღაშვილს მიუძღვნა ლექსი ჭავჭავაძეთ ხშირმა სტუმარმა გრაფმა სოლოგუბმა.

ეს ულამაზესი ქალი სახელგანთქმული იყო პატიოსნებით, თავდაჭერილობით, მამულის სიყვარულით და ხალხშიც დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობდა.

ასეთი ღირსეული, მაღალინტელექტუალური, პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული ქართველი ქალები იყვნენ ჩვენი სასიქადულო პოეტის გვერდით.

მათ ჰქონდათ დიდი ბედნიერება — მოწმენი ყოფილიყვნენ პოეზიის ტიტანის — ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებითი შთაგონებისა, ეხილათ და ესმინათ მისთვის.

**ნინო ჩიხლაძე,**
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.


ეკატერინე ჭავჭავაძე


მანანა ორბელიანი


მაიკო ორბელიანი

სიმონ ჩიქოვანი

# გამოთხოვება*

მუდამ ფიქრში და მუდამ გარჯაში,
გათანგული და მტკვარს შეჩვეული,
საფლავში ჩუმად ჩაწვა განჯაში
და დაგვიტოვა ლექსის რვეული.

შეარჩია და თვალად შეჰკონა,
გარს შემოავლო მწუხრის ზონარი,
ყველა ფურცელი ღველფი ეგონა
და სიყვარულის მოსაგონარი.

ლექსის წერაში, როგორც წირვაში,
ბევრჯერ დასცალა გულის მათარა.
შენი ფეხის ხმა ჩაწვდა წვიმაში
და მოშრიალე რტოს შეგადარა.

მუდამ გარჯაში, მუდამ ტანჯვაში
ვერც ღამე მოსპო, ვერც ყაჩაღები.
განჯაში ჩუმად ჩაწვა საფლავში
და შენ მოგიძღვნა ცის გასაღები.

არ დაიმარხა მაშინ მამულში,
შენ დაგიტოვა ლექსების კონა.
ნუთუ ენგურის ტალღის ხმაურში
ყრმის განშორებამ არ დაგაღონა?

როგორ გაშალე შემდეგ რვეული,
როგორ იპოვე ჩრდილი მორჩილი,
მამული — ღობე შემორღვეული
და ნაფუძართან მუხა მოჭრილი.

ცხელ მკათათვეში თუ ცივ ზამთარში,
გვერდით მფარველად უნდა ჰყოლოდი.
მისი ოცნება გედო კალთაში,
ვერ მოაშორე სული ბოროტი.

შერმე ცხელებამ თითქო იდროვა,
მღერალს არგუნა საფლავის მღვიმე
და უკვდავება შენ დაგიტოვა,
როგორც ჭრილობა ნაზი და მძიმე.

* ლექსების წიგნიდან—„განჯის დღიური“.



ეკლესია განჯაში, სადაც დასაფლავებული იყო ნ. ბარათაშვილი.

მარიკა ბარათაშვილი

# საყურის ჩრდილი

ოქტომბრის ღამე, ფეხაკრეფით შემოპარული,
მის სასთუმალთან დგას პირქუში და ხევდიანი.
დუმს. მხოლოდ გარეთ მოუხვენრად, ჩუმი შრიალით
მოსთქვამენ ხენი, მწუხარებით გულდაღარულნი.

რა წამებაა!... ამ სიცხისგან არ ჩანს საშველი,
შფოთავს პოეტი, ხნეულებით საწოლს მიკრული,
ხან ძვირფას ბიძას, ხან სანატრელს შესჩივის გულით:
„ო, გამიყვანეთ გზა ფართოზე, მომეცით ხელი!“

და ეჩვენება: ვისაც გულით შესტრფოდა მარად,
გაღმოიხარა მისკენ ნაზად, ალერსით ფრთხილით,
შველას ჰპირდება ნაზი ყელი ბროლივით თლილი,

თვისკენ ეძახის ამ სიცხისგან თავშესაფარად...
მაგრამ, ო, ნუთუ ის პაწაწა საყურის ჩრდილი
დამძიმდა ასე?.. და... თვალებზე გადაეფარა!

# მოგონებანი ქიმიის მასწავლებელზე

## გაცნობა

გაკვეთილის დაწყების ზარი დაირეკა. ჩვენი საკლასო ოთახი სკოლის შენობის ბოლოში იყო, სამასწავლებლო კი — დასაწყისში, ისე, რომ მასწავლებელი ყველაზე მოგვიანებით ჩვენთან შემოდიოდა.

ამჯერად ასე არ მომხდარა. დაირეკა თუ არა ზარი, იგი ჩვენს საკლასო ოთახში შემოვიდა. ხელში ჟურნალი ეკავა. ვიცოდით, რომ ის ქიმიას ასწავლიდა, ვიცოდით მისი გვარი და სახელი.

მერხებს ხმაურით მივაწყდით. არ დავმსხდარვართ, ისე გავისუსეთ.

— დასხედით, ბავშვებო, — გავიგონეთ პირველი სიტყვები და მაშინვე მივხვდით, რომ ეს ადამიანი ჩვენთვის მარტო მასწავლებელი არ იქნებოდა.

დავსხედით. მივჩერებოდით მას, საკლასო ჟურნალს შლიდა და მალიმალ ჩვენ გადმოგვხედავდა ხოლმე.

მას მასწავლებლობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ ჩვენს ჯგუფში პირველად იყო და თითქოს ღელავდა.

— მე, ბავშვებო, ვიქნები თქვენი ქიმიის მასწავლებელი, — ასე დაიწყო ჩვენი საუბარი. — ჩემი გვარია მაღლაფერიძე, თქვენ კი უბრალოდ ნუნუ მასწავლებელი დამიძახეთ. — ნუნუ მასწავლებელმა კლასი შეათვალიერა და განაგრძო. — ახლა კი თქვენ გაგიცნობთ, — და დაიწყო სიის ამოკითხვა: ავსაჯანიშვილი ჯუმბერი, ბეროზაშვილი მირიანი, გიორგაძე ოთარი, კაჭარავა ნოდარი, ჭელიძე ნექტარი... მასწავლებელი ათვალიერებდა ყველას და აგრძელებდა სიის კითხვას. ასე გავეცანით ერთმანეთს პირველ დღეს ქიმიის მასწავლებელი და 25 მოწაფე. გავეცანით და შემდეგ სამუდამოდ დაგვამახსოვრდა ერთმანეთი.

დრო გადიოდა. ნუნუ მასწავლებელი გაკვეთილის დაწყებისას სიას აღარ კითხულობდა. გადახედავდა ჯგუფს და თუ ვინმეს შეიხაკლისებდა, შეწუხებული იკითხავდა: რატომ არ არის? რა მოუვიდა? ავად ხომ არაა?

და თუ იმ ამხანაგის შესახებ არაფერი ვიცოდით — გვტუქსავდა. თავისმართლება ზედმეტი იყო.

## ორი ოთარი

ჩვენს კლასში ორი ოთარი იყო: ლუხუტაშვილი და სიხარულიძე. თამბაქოს მალულად ბევრი ვეწეოდით, მაგრამ ეს ორი ოთარი თითქმის აღარ მალავდა და ჩვენს ჯიბრზე ხანდახან შესვენებისას ჯგუფშიც გააბოლებდნენ ხოლმე.

... ღრიანცელში ზარი ისე დაირეკა, რომ ვერც კი გავიგეთ, როგორ შემოვიდა ნუნუ მასწავლებელი. ყველანი ბრაგა-ბრუგით მივცვივდით ჩვენს მერხებს. მხოლოდ იმ ორმა სეხნიამ ვერ მოასწრო ადგილებზე მისვლა. პირიდან თამბაქოს ბოლი ამოსდიოდათ და გახევებულები იდგნენ კუთხეში.

ნუნუ მასწავლებელი ასე აღელვებული ჩვენ არ გვინახავს, სახე სულ მთლად გაუფითრდა.

დიდი ხანია მისგან ჩვენი გვარების ხსენება აღარ გაგვეგონა, სახელებით მოგვმართავდა ყველას. ახლა კი:

— ლუხუტაშვილი და სიხარულიძე, გადით ოთახიდან! — ხმაში, რომელიც აღვსილი იყო წყენით, ისმოდა სიმტკიცე და სინანულიც ერთდროულად. არა, ეს მათი საქციელი მას პირად შეურაცხყოფად არ მიუღია. მათში მან საერთოდ მოსწავლეთათვის შეუფერებელი საქციელი დაინახა.

ორივე ოთარი უსიტყვოდ გავიდა გარეთ.

მასწავლებელს გულმა ვერ მოუთმინა: ორივე ოთარი სახლში დაიბარა და გაცდენილი გაკვეთილი აუხსნა.

ამ შემთხვევის შემდეგ გავიდა თითქმის ოცი წელიწადი. ჩვენ უკვე მამები ვართ. ახლა თამბაქოს გაბედულად ვაბოლებთ და არ გვეშინია, რომ ვინმე დაგვტუქსავს. გვაქვს ოჯახები, გვყავს შვილები და ვცდილობთ ჩვენი შვილები იყვნენ საუკეთესონი. ძველი თანაკლასელები ვხვდებით ერთმანეთს და ვიგონებთ უკვე ძველ ამბებს, რაც ერთად ყოფნასთან არის დაკავშირებული.

ერთხელაც შევიკრიბეთ ერთად რამდენიმე თანაკლასელი. მათ შორის ორი ოთარიც იქ გახლდათ. ვიგონებდით ძველ ამბებს, მოწაფეობის წლებს. ერთმა იქ მყოფთაგანმა სიგარეტი ამოიღო და ყველას შემოგვთავაზა. სიგარეტზე უარი არცერთ ოთარის არ უთქვამს. გავაბოლეთ. ჩემდა უნებურად ზემოთ მოყოლილი შემთხვევა გავიხსენე.

ლუხუტაშვილმაც და სიხარულიძემაც, რომელთაც საერთო სიხარულის ელფერი დაჰკრავდათ სახეზე, უცებ მოიწყინეს. ისე რომ ერთმანეთისთვის არც შეუხედავთ, ახალმოკიდებული სიგარეტები ძირს დააგდეს და ფეხით მოსრისეს.

## ჩაუშლელი გაკვეთილი

ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა მეცხრე კლასში ვიყავით და მთელი სკოლისა და რაიონის სალაპარაკოდ იქცა. წლები გავიდა მას შემდეგ, და ახლა რა დასამალია, რომ ვაღიაროთ: ჩვენს ჯგუფს ყველაზე უდისციპლინოდ და „ამრევად" სთვლიდნენ სკოლაში, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აკადემიური წარმატებით ერთ-ერთი მოწინავენი ვიყავით, და თუ რაიონში სასკოლო მასშტაბით რაიმე ღონისძიება ტარდებოდა, არ შეიძლებოდა ჩვენგან ორ-სამს არ მიეღო მონაწილეობა. ასე, რომ ჩვენ ფაქტიურად უდისციპლინოები და ამრევები კი არა — უბრალოდ, ცელქები ვიყავით.

არც ისაა დასამალი, რომ სკოლის მოსწავლეს, რაც არ უნდა ბეჯითი იყოს იგი, უხარია ხანდახან გაკვეთილის გაცდენა. არა, ეს იმით კი არ არის გამოწვეული, რომ გაკვეთილი მოუმზადებელი აქვს, არამედ უბრალოდ უხარია.

იმ დღეს ქიმია სულ ბოლო გაკვეთილი გვქონდა. ჩვენ დილიდანვე ვიცოდით, რომ ნუნუ მასწავლებელი შეუძლოდ იყო და იმ დღეს სკოლაში არ მოსულა. თითოეულმა ჩვენგანმა რაღაც უჩვეულოდ მოიწყინა. განვიცდიდით საყვარელი მასწავლებლის ავადმყოფობას. ჩვენთან შემოვიდა დირექტორი და გვითხრა, რომ თავისუფალი ვიყავით ბოლო გაკვეთილიდან. იგი გავიდა. არც ერთ ჩვენგანს არ წამოუვლია ჩანთისათვის ხელი და არ გავარდნილა გარეთ. პირველი სიტყვა ნექტარ ჭელიძემ წამოღერღა:

— მოდით, ბიჭებო, წავიდეთ და ვნახოთ ნუნუ მასწავლებელი!

ამ სიტყვამ ყველა დაგვაფიქრა. მერე ვთქვით, რომ ავადმყოფის ასე შეწუხება არ ივარგებდა და სჯობდა თავი შეგვეკავებინა. მაშ როგორ ვცეთ პატივი ნუნუ მასწავლებელს? და გადაწყდა: გაკვეთილის დაწყების ზარი რომ დაირეკა, ყველანი ადგილზე ვიყავით. ასეთი სიწყნარე, ასეთი წესრიგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც შეშურდებოდა ყველა მასწავლებელს. მერხიდან ჩვენი „ქიმიკოსი“ ქართლოს შუბითიძე წამოდგა. მივიდა დაფასთან და დაიწყო გაკვეთილის მოყოლა. დაფაზე რიგრიგობით იწერებოდა ფორმულები, ხდებოდა რეაქციები. ის რომ მორჩა, მერე კაჟა ზეინკლიშვილი გავიდა. ილაპარაკა განვლილ მასალაზე. ამ დროს საკლასო ოთახში დირექტორი შემოვიდა. მას დერეფანში ჩაევლო და ვაჟას ბუხუნა ხმისთვის მოეკრა ყური. შემოვიდა და კარებშივე შედგა.

— აქ რას აკეთებთ, რატომ შინ არ წახვალთ?

პასუხი არავის გაუცია. მერე დაფას შეხედა და ყველაფერი ნათელი შეიქნა მისთვის. იგი რამდენიმე წამს კიდევ იდგა. ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა, მხოლოდ ერთი სიტყვა თქვა: „განაგრძეთო“ და გატრიალდა.

ამის შემდეგ ჩვენ ჯგუფს უდისციპლინოს აღარ ეძახდნენ. ეს ამბავი ყველამ შეიტყო. შეიტყო მანაც ვინც ყველას გვიყვარდა. ნუნუ მასწავლებელი მესამე დღეს დაბრუნდა სკოლაში და ჩვენთან შემოვიდა გაკვეთილზე. მივიდა მაგიდასთან, სკამზე არ ჩამომჯდარა, არც საკლასო ჟურნალი გადაუშლია, ისე მოგვავლო თვალი ყველას, მოგვეალერსა და თქვა — გმადლობთ, ბავშვებო!

არავინ გაუძახებია გაკვეთილის მოსაყოლად. სწამდა, რომ ის გაკვეთილი ყველამ ხუთიანზე ვიცოდით.

## პირადი წერილი მასწავლებელს

პატივცემულო მასწავლებელო! ვინ იცის, ამ სტრიქონების ავტორი აღარც გახსოვთ, ჩემისთანები ხომ ბევრზე ბევრი გყავდათ და აბა, რა გასაკვირია. მაგრამ ჩვენ არასოდეს დაგვავიწყდებით. სადაც არ უნდა ვიყოთ, ყოველთვის გვახსოვს თქვენი მშობლიური ზრუნვა, თქვენი ამაგი. დამერწმუნეთ, ნუნუ მასწავლებელო, რომ ბევრი ჩვენგანი, როცა კარგ საქმეს გავაკეთებთ, ყოველთვის გიგონებთ თქვენ და გვგონია მოხვალთ და გადაგვისვამთ თავზე იმ თბილ ხელს, წლების მანძილზე რომ გვამხნევებდა და ძალას გვმატებდა. და თუ ცხოვრებაში სადმე წავიფორთხილეთ ან წავიჩოქეთ, მაშინაც გვჯერა, რომ კი არ დაგვტუქსავთ, არამედ მოხვალთ და იმავე თბილ ხელს შემოგვაშველებთ, წამოგვაყენებთ.

ბევრს უნდა პატივი გცეთ და ამიტომ ფიქრობს, რომ კარგი სთესოს ისევე, როგორც თქვენ სთესდით ჩვენში, მაშინ როცა თბილისის რკინიგზის ვაჟთა პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდით. და, ის კარგი, ჩვენი კარგი კაცობაა, ქვეყნის სამსახურია.

ძვირფასო მასწავლებელო! ამ სტრიქონებსაც თქვენი პატივისცემა, თქვენი სიყვარული მაწერინებს, აი, გავიდა წლები და როცა ამა თუ იმ საქმეს ვკიდებთ ხელს, დაუსწრებლად გეკითხებით: ივარგებს ასე, ნუნუ მასწავლებელო?

**გივი ჯოხაძე**

## პატარებისათვის

**გიორგი კაჭახიძე**

# კახას მელაკუდა

ხელს ნუ ახლებთ, არ გაბრაზდეს! —
აფრთხილებდა კახა ყველას, —
ისევ ლეკვი არ გეგონოთ,
ერთი ციდა, ცუგრუმელა.
არც ტყუოდა:
ლეკვი მართლაც
გაიზარდა, გადიდგულდა,
მელად იქცა მელას შვილი —
პაწაწინა მელაკუდა.
იცის კახამ, როგორ თრთოდა,
როცა მამამ მოუყვანა.
რომ გაეშვათ, ალბათ ახლა
მოივლიდა მთელს ქვეყანას.
თვალს საწუწკოდ აცეცებდა,
თუმც არ ზრდიდა წუწკი დედა.
მშიერს ხორცი თუ არ ჰქონდა,
პურსაც კარგად მიირთმევდა.
იჯდა ასე, ტყვე მელია
გალიაში, ბოსლის გვერდით.
რას იზამდა! ფისოსაც კი
არ მოწონდა მისი ბედი.
შეეჩვია ეზოს ხმაურს,
მნახველების თვალს და ღიმილს;
შეეჩვია დედლის კაკანს,
მადის მომგვრელ მამლის ყივილს.
ქათმები კი ჭოთქოთებდნენ:
— ვის რა ჭირად უნდა მელა?
ეს რა გვიყვეს! შინ დაგვისვეს
საძაგელი საფრთხობელა.

* * *

ერთხელ კახა მელაკუდას
კარს მიადგა ჯოხის ცხენით,
უტრიალა, ვერ გაბედა
გადაესვა თავზე ხელი.
ეს კი უთხრა: — დღეს დიდი ხარ,
უნდა გქონდეს ბინაც დიდი.
გაიხედე, ჩვენი ფისო
სასეირნოდ საით მიდის.
რა იქნება, შენც ეზოში
გაირბინო, ფისო ნახო,
ჭიშკრის იქით არ წახვიდე,
იცანცალო სახლის ახლო!
რაც თქვა, ისე მოეწონა,
არ აკმარა სიტყვა მელას,
და გალიის კარი უხმოდ
გამოაღო ნელა-ნელა.
მელაკუდა ჯერ შეჩერდა,
დაფაცურდა მერე მარდად,
წინ კისერი წაიგრძელა
და ეზოში გამოვარდა.
მაგრამ ქვეყნის დასანახად
არ ისურვა თითქოს გავლა,
მიიხედა, მოიხედა
და ფიჩხებში მიიმალა.
— მანდ რა გინდა! მანდ რა გინდა! —
მიაძახა კახამ წყენით
და ფიჩხებში ხან აქ, ხან იქ
შეახტუნა ჯოხის ცხენი.
კახას წუხილს, გაკვირვებას
მელაკუდა როდი გრძნობდა!
გატრუნული, გასუსული
ადგილიდან არ იძროდა.
— ცუდი მელა ყოფილხარო, —
საყვედურით უთხრა კახამ.
ამ დროს დედამ აივნიდან
„შინ მოდიო“, — დაუძახა.
ბიჭმა ფიჩხებს ერთხელ ისევ
გადახედა გულის ტკენით
და სახლისკენ ხტუნვა-ხტუნვით
გააჭენა ჯოხის ცხენი.
კახა ტკბილად საუზმობდა,
მამის სკამზე წამომჯდარი.
გარეთ ჩიტი ჭიკჭიკებდა,
ახარებდა ჩიტსაც დარი.
უცებ კრუხი და მამალი
აქოთქოთდნენ იქვე სახლთან,
წიწილები აწივწივდნენ,
ვარიკელა აკრიახდა.
— ჰაუ, ჰაუ! ამ ქათმებმა
როგორ შეძრეს არემარე! —
ამ სიტყვით და შეძახილით
გამოვარდა დედა გარეთ.
— მოდი, კახა, ეს შენ ქენი,
შენ გაუღე მელას კარი?!
ეგერ გარბის... ახლა მიდი,
დაიჭირე ტყეში ქარი!
კახამ კარგად დაინახა:
ნაპურალის ქვემოთ, ხევთან,
მელაკუდა ვარიკელას
როგორ მიაკრიახებდა.
თვალი წყენით გაადევნა
და თქვა: — აღარ მიყვარს მელა.
თუ ჩვენს ეზოს ტყე არჩია,
რას ერჩოდა ვარიკელას!
დედიკოს და ჩემი წყენა
რად გაივლო ნეტავ გულში!
მე ხომ იგი, მე ხომ იგი
სასეირნოდ გამოუშვი!
— რად არ მკითხე! — უთხრა დედამ, —
აი, როგორ დაგიფასა!
ცუღლუტი და ცუდის მქნელი
კარგს არ უზამს მეგობარსაც,
მგელი მგლობას არ მოიშლის
და მელია მელობასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი არალეგალურ მუშაობაში ჩაება. თამარმა და თეომ თავიანთ ბინაზე ცეკვის წრე მოიწყვეს. საღამოობით მათ ოჯახში, ვითომდა ცეკვის შესასწავლად, იკრიბებოდნენ არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკები, მოსწავლე ახალგაზრდობა. ისმოდა მუსიკა, სიცილი, მხიარულება. დიდი საქმე კი ჩუმად კეთდებოდა, ბოლშევიკები დავალებებს ანაწილებდნენ, ახალგაზრდობას აბამდნენ მუშაობაში, ავრცელებდნენ არალეგალურ ლიტერატურას. მენშევიკების ბატონობის იმ მძიმე წლებში რაჟდენ აბაშმაძის სახლში „ცეკვის" წრე თანდათან ფართოვდებოდა...

1922 წლის იანვარში თამარი კომკავშირელი გახდა. იმავე წელს აირჩიეს იგი გურიის კომკავშირის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრად. ერთი წლის შემდეგ კომკავშირის რიგებში თეოც მიიღეს. დებმა მალე გამოიჩინეს თავი, როგორც ენერგიულმა და უნარიანმა კომკავშირელმა მუშაკებმა.

სწავლა რომ დაასრულა, თამარმა მასწავლებლობა დაიწყო. 1925 წელს ის პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღეს. თამარი ასრულებდა ყოველგვარ კომკავშირულ და პარტიულ დავალებას: დადიოდა სოფლებში, ატარებდა კრებებს, აცნობდა მოსახლეობას პარტიული ყრილობების, კონფერენციების, პლენუმების შედეგებს.

1927 წელს თამარი პარტიის წევრად მიიღეს. მალე რაიონმა ნიჭიერი კომუნისტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოგზავნა.

თეო წლების მანძილზე სათავეში ედგა სასკოლო კომკავშირულ ორგანიზაციას, შემდეგ სათემო კომიტეტის მდივნად მუშაობდა. დაუღალავი, ენერგიით სავსე, ინიციატივიანი — ასეთი იყო კომკავშირელი თეო. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა, თამარი კი უკვე ასპირანტურაში სწავლობდა. უნივერსიტეტში თამარი ჯერ ფაკულტეტის, შემდეგ ასპირანტთა პარტორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. უნივერსიტეტში თეოც პარტიაში შევიდა და გატაცებით ჩაება პარტიულ მუშაობაში.

თამარს წილად ხვდა თბილისის მოსწავლეებისათვის ესწავლებინა მსოფლიოს ხალხთა ისტორია და საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია. კონსტიტუციამ ხალხს მისცა დიდი უფლებანი, რომელთა მოპოვებისათვის თამარიც იბრძოდა. ეს იცოდნენ ბავშვებმა და პატივს სცემდნენ თავიანთ მასწავლებელს. ქვეყნისა და ხალხის სამსახურისათვის თამარს მიანიჭეს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, დააჯილდოვეს ლენინის, შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენებით.

დები ერთმანეთს არ რჩებოდნენ საქმეში. თეო ხელმძღვანელობდა ჩოხატაურის რაიკომის ქალთა განყოფილებას, მახარაძის რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებას, მუშაობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად და თავისი ენერგიით, პირდაპირობით, უბრალოებით, გულითადი დამოკიდებულებით ხიბლავდა ყველას, ვისაც ხვდებოდა.

განსაკუთრებით დაამახსოვრდათ თეო ადამიანებს, როგორც საქართველოს რემდასის ხელმძღვანელი. მასთან სხვადასხვა ქვეყნებიდან მოდიოდნენ პოლიტემიგრანტები და თეოც ყველაფერს აკეთებდა მათთვის.

მან ბევრი კარგი წიგნი მისცა ახალგაზრდებს, როცა ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობას ხელმძღვანელობდა.

როცა თეო სათავეში ჩაუდგა ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციას, მის მისაღებში ცარიელ სკამს ვერ ნახავდით. ადამიანებმა იცოდნენ, რომ ის მარტო რედაქტორი კი არ იყო, არამედ მათი გამგები, მათი მოყვარე და დიდი ჰუმანისტი. ზოგჯერ ჩვენ, რედაქციის მუშაკები, მასთან შესვლას ვერ ვახერხებდით, ისე იყო დაკავებული იგი ადამიანებზე ფიქრითა და ზრუნვით. მან იცოდა შესანიშნავი მიღება და შესანიშნავი გაცილება. უიმედოს მის დანახვაზე იმედი ეძლეოდა. მისგან ბევრს შეეძლო ესწავლა, როგორ უნდა ზრუნვა ადამიანზე. მისი კაბინეტი არასოდეს არავისთვის არ იყო დაკეტილი, არ იყო დაწესებული მიღების საათები. თეომ იცოდა, რომ ჟურნალი პირველ რიგში ხალხის მეგობარია და ამიტომ თვითონაც ყველას მეგობრობდა, დიდებთან დიდი იყო, პატარებთან — პატარა.

თეოს და თამარს თითქმის სულ ერთად ნახავდით. მათ დიდი მეგობრობა აკავშირებდა. თეოსთან ბინაზე კარს უსათუოდ თამარი გაგიღებდათ. მათ ურთმანეთოდ არ შეეძლოთ და ალბათ, ამიტომაც ცხოვრობდნენ ერთმანეთთან ასე ახლოს. თეო მუშაობდა, თამარი პენსიაში გავიდა და შვილიშვილებს უზრდიდა. „თამარ, შენა ხარ?" — ეტყოდა ტელეფონით, როცა შინ დარეკავდა და სახე გაუნათდებოდა. ისინი კვლავ ერთად უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ...

ერთ დღეს, სამი წლის წინ, ჩვეულებისამებრ მოვიდნენ ადამიანები რედაქციაში, რომ მისგან კეთილი სიტყვა გაეგონათ და საზარელი ამბავი გაიგეს: თეო აღარ იყო. აღარ იყო მათი გულშემატკივარი...

საბურთალოს სასაფლაოზე, ცენტრალური გზის პირას მისი საფლავია. იქ ხშირად ნახავთ შაოსან ქალს. იგი საოცრად ჰგავს თეოს. თქვენ შეკრთებით, თუ დაგავიწყდათ, რომ თეო აღარ არის. ეს თამარია. თეოს კი ჰქონდა თავისი ღიმილი, თავისი უცნაურად წყლიანი თვალები.

ჰქონდა!

მე მიხარია თამარის ნახვა, რადგან ისინი მაინც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

დები — აბაშმაძეები!

**ლია კაკაბაძე**

# ერთი ოჯახი

შვილებმა აირჩიეს მამის პროფესია, შვილები გაჰყვნენ მამის კვალს.

მექანიკოსების ოჯახი — ასე უწოდებენ ახლა მათ.

ოჯახის უფროსი — დავით ჭელიძე, თავმდაბალი, პატიოსანი, უანგარო ადამიანია. 38 წელია ის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათა ნაწილებისა და ამწესატრანსპორტო მანქანების კათედრის დოცენტია, და ამ ხნის მანძილზე ვინც კი საინჟინრო ფაკულტეტი დაამთავრა, ყველა სწავლობდა მისი „ტექნიკური ხაზვის" და „მანქანათა ნაწილების" სახელმძღვანელოებით. მან დაწერა პირველი წიგნი ქართულ ენაზე „თვითმფრინავთმცოდნეობა". ახლაც თავის კოლეგებთან ერთად სისტემატურად მუშაობს წიგნების ხელახლა გადამუშავებაგაუმჯობესებაზე; პროფ. ო. ეზიკაშვილთან და მ. ხვინგიასთან ერთად გამოსაცემად ამზადებს „მანქანათა ნაწილების" ახალ სახელმძღვანელოს.

საზოგადოებისათვის ესოდენ სასარგებლო პიროვნება შესანიშნავი მეუღლე, კარგი მამა და სანიმუშო შვილების აღმზრდელია.

მაგრამ, მარტო მამას ნუ მივაწერთ მერი და გია ჭელიძეების წარმატებებს. როგორც გამოცდილი ადამიანები ამბობენ, შვილებისათვის მთავარი დედაა...

ოჯახის დედაბოძი — ნინო დადიანიძე-ჭელიძე, ჭკვიანი, ტაქტიანი და ოდნავ მკაცრი ქალია, თვითონაც პედაგოგების ოჯახიდანაა და ალბათ, შთამომავლობით გამოჰყვა ის გულისხმიერება და ბავშვების დიდი სიყვარული, რაც ასე დადებითად ახასიათებს პედაგოგს, 39 წლის სტაჟით.

საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, საპატიო ნიშნის ორდენოსანი ნინო დადიანიძე-ჭელიძე თბილისის 24-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელია. ფიზიკა იოლი საგანი როდია, მით უფრო მაღალ კლასებში, სადაც საჭიროა თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შერწყმა. ნინოს მუშაობის მეთოდი ასეთია: ყველა მოსწავლე ჩაება გაკვეთილის მსვლელობაში. ამიტომაა, რომ მერე მისი აღზრდილების უმეტესობა სწავლას აგრძელებს ფიზიკის ფაკულტეტზე.

ნინოს გაკვეთილებს ხშირად ესწრებოდნენ მისი შვილები, როცა ისინი ჯერ კიდევ ძალიან პატარები იყვნენ. იყო შემთხვევა, რომ მას სახლში ბავშვების დამტოვებელი არ ჰყავდა და სკოლაში მიჰყავდა უფროსი გოგონა. გაკვეთილი ტარდებოდა ფიზიკაში და 5 წლის ციცქნა მერი თავისი ჭკვიანი

თვალებით გაფაციცებით უყურებდა ცდებს და ზოგჯერ ისე ჩაერთვებოდა კლასის მეცადინეობაში, თითქოს მანაც იცოდა ფიზიკა.

დედას პატარა გია მოსწავლეებთან ერთად ექსკურსიებზე დაჰყავდა ქარხნებში, საწარმოებში და ფიზიკის დარგთან დაკავშირებულ სხვადასხვა გამოფენებზე.

ბავშვები იზრდებოდნენ მათემატიკურ და ტექნიკურ გარემოში. გია მოუსვენარი ბავშვი იყო. ძალზე ნიჭიერი და მეტისმეტად ცელქი, საჭირო იყო მისი ენერგიის სასიკეთო საქმისაკენ მიმართვა და მას ზედმეტად ტვირთავდნენ: სწავლობდა ენას, მუსიკას, მუშაობდა სამოდელო წრეში, თამაშობდა კალათბურთს, ცურავდა და ოჯახშიც აკეთებდა საქმეს.



ბავშვებს დრო რჩებოდათ სათამაშოდ და გასართობად. გია დღემდე მეგობრობს თავის იმდროინდელ პირველკლასელ ამხანაგებს: ჯემალ აბელაშვილს, რამაზ ჯამასპიშვილს, თემურ ბუხრაშვილს (ყველამ უმაღლესი განათლება მიიღო).

მერის განცალკევება და წიგნების კითხვა უყვარდა. გოგონა კარჩაკეტილობისაკენ მიდრეკილებას ამჟღავნებდა. ეს ამბავი არ გამოეპარათ მშობლებს და შემდეგ, მერი უფრო ხშირად იყო თეატრში, კინოში, მეგობრებთან და ერთ დროს უკარება გოგონა, უკვე სტუდენტი, ფაკულტეტის მჩქეფარე ცხოვრების ცენტრშია.

ასე ზრდიდნენ შვილებს ნინო და დავით ჰელიძეები. შრომა ბავშვებს პატარაობიდანვე შეაყვარეს, სწავლით კი პირველი კლასიდან დღემდე — ასპირანტურამდე, მერისა და გიას „ხუთის“ გარდა სხვა ნიშანი არ მიუღიათ. ისინი ყოველთვის გულახდილი და გულმართალი არიან, ისევე როგორც მათი მშობლები.

მერიმ ვერცხლის მედალზე დაამთავრა თბილისის 51-ე საშუალო სკოლა და შემდეგ ასევე წარჩინებით — თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკის ფაკულტეტი (იყო ორჯონიკიძის სახელობის სტიპენდიანტი). და იქვე, მექანიკის ფაკულტეტზე დატოვეს უმცროს მეცნიერ მუშაკად; მაგრამ შრომისმოყვარე ქალიშვილმა კვლავ სწავლა განაგრძო, ასპირანტურაში. ამჟამად მერი ჰელიძე პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის და გრაფიკის კათედრის II კურსის ასპირანტია.

გია ჰელიძემაც მედლით შეაღო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კარი და შემდეგ, წლების მანძილზე მისი ფოტოსურათი ამშვენებდა მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საამაყო სტუდენტთა დაფას.

სკკპ წევრი, ლენინური სტიპენდიანტი, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სპორტსმენი (პირველთანრიგოსანი ცურვაში), საქართველოს ნაკრების წევრი — ასეთია გია ჰელიძის მონაცემები. ახლა ის, 23 წლის ახალგაზრდა, უკვე ინჟინერია. წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი, სწავლას კვლავ აგრძელებს, აბარებს გამოცდებს ასპირანტურაში.

საბავშვო ბაღში, სკოლაში, ინსტიტუტში, ასპირანტურაში და საერთოდ, საზოგადოებაში მერი და გია ჰელიძეები მოწინავენი იყვნენ და არიან. მშობლები მათ ზრდიდნენ პედაგოგიური მეთოდების ფრთხილი გამოყენებით და კიდევ თავიანთი პირადი მაგალითით, უნერგავდნენ მათ ურთიერთსიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის გრძნობას, პატიოსნებისა და შრომის ჩვევებს.

სწავლა, შრომა, ძიება, მიღწევები — ასეთი უნდა იყოს ყოველი ადამიანის ცხოვრება ღრმა სიბერემდე. ასეთია ნინო და დავით ჰელიძეების ყოველი დღე, კარგ ტრადიციებს შვილები აგრძელებენ. მერე შვილიშვილები გააგრძელებენ.

**ირმა ჩოფიკაშვილი**

მას გვიან გაახსენდა, რომ მთელი ოჯახით პრემიერას უნდა დასწრებოდა. აფუსფუსდა, მაგიდაზე გაბნეული ქაღალდები შეაგროვა, მერე უჯრაში შეინახა.

წამოდგა. მეორე ოთახში შეიხედა. ლამარაც წასულიყო. ნატოს მოაგონდა, რომ ლამარა თვითონ გაუშვა ადრე. ლამარას ბავშვი ჰყავდა ავად. მთელი დღე ნატოსთან ახლდა. მკურნალს აჩვენეს და ვიდრე გული არ დაიმშვიდეს, ნატო გვერდიდან არ მოშორებია.

ფრთხილად გამოიხურა კარი, კიბეებს ჩაუყვა. ხვალამდე შეუძლია დაისვენოს. ხვალ კი დილიდანვე ატყდება ტელეფონის რეკვა — ჩემი უბნის მაჩვენებლები როგორია, — იკითხავენ უბნის უფროსები. № 5 საგვირაბო რაზმის ტექნიკურ-საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსს ნატო კოშკაძესაც მზად ექნება პასუხი.

ბექარ შალიკაშვილის უბანი № 11 ჯერჯერობით პირველ ადგილზეა. მეტროსადგურ „ნავთლუღს“ და გადასასვლელ გვირაბს აშენებენ. აქ გადავლენ ცისფერი ექსპრესები ერთი ხაზიდან მეორეზე. 127 პროცენტით შეასრულეს თვიური გეგმა მეთერთმეტეუბნელებმა.

გვირაბი № 7-ის და უბანი № 12-ის კოლექტივებმა 118 პროცენტით შეასრულეს დავალება. უბნის უფროსების გენო ხარატიშვილსა და ალექსანდრე ჰუსეინოვს არაფერი ექნებათ საკამათო ამჯერად. გენოსუბნელებს მარცხენა გადასარბენი გვირაბი გაჰყავთ „800 არაგველიდან“ „ისნამდე“, ალექსანდრესუბნელებს კი — მარჯვენა გასარბენი გვირაბი იმავე ტრ.' ზე.

წინ მიიწევენ მიწისქვეშა გვირაბები. მე-12 უბანზე მექანიზებული ფარი მოქმედებს. იგი მზა გვირაბს იძლევა და დაბეტონებას აღარ საჭიროებს. მუშაობის ტემპი დაჩქარდა, მუშახელი გათავისუფლდა. საბჭოთა კავშირში ამ ტიპის ფარს პირველად თბილისელი მეტრომშენებლები იყენებენ. „T—105“-ით გაიყვანეს გადასარბენი გვირაბი „ლენინის მოედნიდან“ „26 კომისრამდე“ და ამავე ფართობით გაჰყავთ ახალი ტრასა „800 არაგველიდან“ „ისნამდე“.

„T—105“ შარშან მოსკოვში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე იქნა ექსპონირებული. თბილისელი მეტრომშენებლების წარგზავნილი ინჟინერი ნატო კოშკაძე საინტერესოდ მოუთხრობდა კოლეგებს მექანიზებულ ფარსა და ქართველ მეტრომშენებელთა გამოცდილებაზე.

ერთი წელი გავიდა მას შემდეგ.

* * *

1942 წლის მრისხანე დღეები იდგა... საშუალო სკოლა ნატომ იმ წელს დაამთავრა, სამშენებლო ფაკულტეტზე (ხიდები და



ეროვნული ბიბლიოთეკა

გვირაბები) შეიტანა საბუთები თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში.

ოცდასამი წლის სპეციალისტი ტყვარჩელში გაანაწილეს.

კვეზანიდან აკარმარამდე რკინიგზა შენდებოდა. სამი გვირაბი გაჰყავდათ.

ცვლის უფროსად დანიშნეს გამხდარი, სუსტი აგებულების შავგვრემანი ქალიშვილი.

ამბობდნენ: „რა ქალის საქმეა გვირაბებში სიარული შარვლითა და ჩაჩქანით!..“

„გვირაბებში დაიკარგებაო“...

... ღამის ცვლაში ხშირად უხდებოდა გასვლა. რა დასამალია და... პირველად უჭირდა... თუ არ არის ქალის საქმე, ვნახოთ, — დაექადნა ვიღაცას.

შრომაში დღეები შეუმჩნევლად გადიოდა. თავაუღებლად შრომობდა, დაბიჯებდა გვირაბებში, შუაღამემდე ნახაზებს უჯდა...

ქვეყნად აღდგენითი სამუშაოები მიდიოდა... შენდებოდა ახალი და ისიც აშენებდა...

იგი ტყვარჩელში დაოჯახდა. იქ გატარებული ოთხი წელი ნატო კოშკაძესა და ოთარ ქავთარაძეს ტკბილ მოგონებად დარჩათ.

ახლა უკვე სხვა გზა იწყებოდა და ისინიც ამ გზის დასაწყისში აღმოჩნდნენ.

* * *

ის დღესაც მიწისქვეშა გვირაბებში დაბიჯებს და წვრილმანიც არ რჩება შეუმჩნეველი.

მეტრომშენებლები კარგად იცნობენ, მასთან უხეშად ვერ მოიქცევი, უკმეხობას ვერ გამოიჩენ. რამე არ მოეწონება შენი და ისე შემოგხედავს, გაგაწითლებს.

საგვირაბო რაზმი № 5-ის მთავარი ინჟინერი ირაკლი მაჭავარიანი და ტექნიკურ-საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსი ნატო კოშკაძე მეტრომშენებლების ხშირი სტუმრები არიან.

სისტემატურად მსჯელობენ ჩატარებულ სამუშაოზე, მისი ხარისხი ადგილზე — გვირაბებშივე მოწმდება, დგება მშენებლობის ტექნიკური დოკუმენტაცია... მეტრომშენებლობის სამმართველოდან მიღებული პროექტები ამ განყოფილებიდან ეგზავნება უბნებს, აქ ხდება პროექტების გადასინჯვა, ცვლილებების შეტანა. აქედან იღებენ მათ ცალკეული უბნები. ტექნიკურ-საგეგმო-საწარმოო განყოფილება სისტემატურ კონტროლს უწევს გეგმების შესრულების მიმდინარეობას, შრომის ორგანიზაციას. ხშირად წამოიჭრება საყურადღებო საკითხები. სადგურ „ლენინის მოედნიდან“ „300 არაგველამდე“ მოსაპირკეთებელი ელექტროსამუშაოების ნახაზებში ცალკეული ხარვეზი აღმოჩნდა. განყოფილების უფროსის ჩარევით ნაკლოვანებანი აღმოიფხვრა...

ნატო კოშკაძის წინადადებით სადგურ „ლენინის მოედანზე“ აზბოცემენტის ფილები გამოიყენეს რკინა-ბეტონის ნაცვლად, რითაც მნიშვნელოვანი თანხა დაიზოგა.

ხშირად ნახავთ ნატოს მუშა-რაციონალიზატორებთან. მისი დახმარებით აკაკი ჯვარიძე, ილია მამიაშვილი და სხვები საქმიანი, ეფექტური წინადადებების ავტორები არიან.



მისი საზრუნავი ახლა ნადარბაზევის წყალსაცავის სადერივაციო გვირაბის მშენებლობაა. № 5 საგვირაბო რაზმის მოქმედების სფეროში მეტროპოლიტენის გარდა სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობაც შედის.

დამსახურებისათვის ნატო კოშკაძე შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელიც დამსახურებისათვის გადასცეს.

**ნათელა ქიმერიძე**



ლეილა ბეშია.



ფაბრიკის მთავარი ინჟინერი ს. ლომჯარიძე და ცვლის უფროსი თ. გულუა.

# გოდის აგურა ჩაი



ფაბრიკის დირექტორი შ. ჯღერია.

ავტომანქანები ზუზუნითა და ქოთქოთით აწყდებიან რკინის ვეება ჭიშკარს. წარამარა იღება და იხურება კარი. წარამარა გადიან და შემოდიან დატვირთული მანქანები. აფხაზეთიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან მოაქვთ ლაოჩაი, ჩაის ფაბრიკებიდან ეზიდებიან საპირე მოუხეშავ მასალას და აქ, ზუგდიდის მწვანე აგურა ჩაის საწნეხი ფაბრიკის ეზოში რიგში დგებიან...

ამ ფაბრიკამ მაშინ აიდგა ფეხი, როცა ყველაზე ძალიან უჭირდა ჩვენს ქვეყანას, როცა ცეცხლითა და მახვილით წალეკვას გვემუქრებოდნენ ფაშისტი დამპყრობლები. საქართველოსკენ მოილტვოდნენ სახლკარგადამწვარი ადამიანები, ეძებდნენ თავშესაფარს, სითბოს, ყურადღებას. ფაბრიკის დირექტორი შალვა ჯღერია ვაჟკაცურ ხელს უწვდიდა მათ. ფაბრიკის კოლექტივი ყოველ ღონეს ხმარობდა დარდი გაექარვებინა მათთვის.

ამ ძმურ, ინტერნაციონალურ ოჯახში ყველა ერთისათვის იყო, ერთი კი ყველასათვის.

იმ დღიდან დღემდე ამ პრინციპის ერთგულნი არიან ზუგდიდელები და შესანიშნავ წარმატებებს აღწევენ. ფაბრიკამ ოთხასი ათასი მანეთის მოგება მისცა სახელმწიფოს.

... დილის 8 საათზე იწყება რიტმული მაჯისცემა ფაბრიკაში.

სტარტზე დგებიან პირველი ცვლის კომუნისტური შრომის ბრიგადები...

სასწორთანაა ლიდია არჩიჩენკო. იგი არაჩვეულებრივი სისწრაფითა და სიზუსტით წონის ჩაის ფოთლებს, ასევე სწრაფად ყრის პატარა ტომრებში და დასაორთქლავად აგზავნის. აგიზგიზებულ ღუმელთან ფუსფუსებენ ქალები: ქსენია გულკოვსკაია ფოთლების დაორთქლვაზე მუშაობს, ეკატერინე დევტერენკო დაორთქლილ მასალას ყალიბებში ათავსებს. საწნეხთან ერთმანეთს ცვლიან ციალა დოლბაიძე და გულნარა შენგელია. წნეხყალიბს ციალა აწვდის, გულნარა დაწნეხვას აწარმოებს. მერე დაწნეხილი მასალა კონვეიერზე ტრიალებს. ტექნოლოგი ლეილა ბეშია კონვეიერების მუშაობას ადევნებს თვალყურს. საათს ინიშნავს (ფილები ზუსტად ერთი საათი უნდა იყოს კონვეიერზე).

ყველა სახის ფიზიკურ სამუშაოს ასრულებს იგი, მაგრამ ყურადღების ცენტრიდან მაინც არ კარგავს კონვეიერებთან მომუშავე ქალებს, ეხმარება და ყოველ საათში აფრთხილებს მათ:

— ერთი საათი გავიდა, დროა კონვეიერებიდან გადმოიღოთ პროდუქცია!

ოცდაორ ქალს თვალისდახამხამებაში გადააქვს სველი ნაწარმი საშრობ საამქროში. საშრობში გუგუნებენ მანქანები. სეხნიები— თინა გახარია და თინა ნანავა, ქალიშვილებთან ერთად, ლამაზად აჭრიან ნაწიბურებს გამშრალ აგურა ჩაის და შემფუთავ საამქროსკენ გზავნიან. აქ არის წუნმდებელი რუსიკო შელია. იგი წონის, მერე ჩაქუჩით ამოწმებს პროდუქციის ვარგისიანობას. საკმარისია ნაწარმმა ოდნავ ფუყე ხმა გაიღოს, იმ წუთში დაამტვრევს და უკან გამოაგდებს, მაღალხარისხოვანს კი შესაფუთავად აწვდის. შემფუთავი ქალები თითოეულ აგურს სათუთად ახვევენ ქათქათა პაპიროსის ქაღალდში და ყუთებში აწყობენ. ზოგჯერ ქალიშვილები ყუთებში წერილებსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა





საამქროში.

ჩააყოლებენ ხოლმე: „შეგერგოთო კეთილი გულით მოძღვნილი!“ — წერენ ისინი რუს, უკრაინელ, მონღოლელ მეგობრებს...

შარშან ზუგდიდელებმა მონღოლეთში 2.750 ტონა აგურა ჩაი გაგზავნეს. წელს კი 3.100 ტონას გავგზავნითო ამბობენ...

1967 წელს ფაბრიკის კოლექტივმა 5000 ტონა აგურა ჩაი დაამზადა, 1968 წელს 5500 ტონის და კიდევ მეტის დამზადებას აპირებენ. ამ კოლექტივის თითოეულმა წევრმა ვალდებულება აიღო დღიური გეგმით გათვალისწინებული 1.500 ცალი აგურა ჩაის ნაცვლად 1.700 ცალი დაამზადოს. პირველმა ცვლამ მეორე ცვლა გამოიწვია შეჯიბრებაში. მართალია, ერთმანეთს ეჯიბრებიან, მაგრამ თუ რომელიმეს გაუჭირდა, ორივე ცვლა ერთად შეეჭიდება საქმეს...

წარამარა იღება და იხურება ფაბრიკის ვეება ჭიშკარი. წარამარა გადიან ლამაზი ყუთებით დატვირთული ავტომანქანები, მათ მოძმე რესპუბლიკებში გასაგზავნად მიაქვთ ჩვენი ქალების ალალი მარჯვენით დამზადებული აგურა ჩაი.

**ოლია დადიანი**

# დაუწერელი კანონი

ადამიანს შეემთხვა უბედურება...

როდესაც ეს რედაქციაში შევიტყეთ და მისაშველებლად ტაბახმელაში ავედით, მას მეზობლები ეხვივნენ გარს. ეს ამბავი საქართველოში არავის გაუკვირდება — მეზობელ-ნათესავებითა ვართ ღონიერნი ჭირსა თუ ლხინში. მაგრამ მეშვიდე წელია, რაც თინა შიოშვილი ლოგინადაა ჩავარდნილი, მეშვიდე წელია, რაც მეზობელ-ნათესავები დასტრიალებენ თავს.

მსგავსი მაგალითებიც იცის ჩვენმა მკითხველმა — კერძოდ „საქართველოს ქალის“ 1967 წ. №8-ში იყო მოთხრობილი ამბავი ზემომაჩხაანელ ივლიტა ნატროშვილისა. ვწერდით კოლმეურნეობის თავმჯდომარის ნიკო მამაიაშვილის, სკოლის დირექტორის ვალიკო ჯამასპიშვილის, მასწავლებლების — ანიკო კვანჭილაშვილისა და ლილი გოზალიშვილის, კარის მეზობლების: მარუსია და მარიამ ჯანაშვილების, ცისია ნაცვლიშვილის, კატუშა და მანანა ნატროშვილების, თამარ ოზბეთელაშვილისა და სხვათა კეთილშობილური მოქმედების შესახებ.

ჩვენივე ჟურნალიდან („საქართველოს ქალის“ 1967 წ. № 12) გაეცნო მკითხველი ქუთაისელ ოთარ სიხარულიძის ისტორიასაც და ის დიდი გამოხმაურება, რაც ამ წერილს მოჰყვა, მოწმობს მკითხველის დაინტერესებას ოთარის ბედით. ამ მოკლე ხნის წინათაც მოვინახულეთ ოთარი. იგი საწერ მაგიდასთან, თავის სავარძელში იჯდა და მეცადინეობდა.

ისევე, როგორც მოწაფეობის წლებში, ოთარს ახლაც ამხანაგები ახვევია გარს, სკოლის საზრუნავმა კი ქუთაისის პედინსტიტუტზე გადაინაცვლა.

რას გახდებოდა ოთარის დედა თამარ შარაშენიძე, როგორ მოუვლიდა და აღზრდიდა მცირეწლოვან, დავრდომილ შვილს, რომ დღესაც მის გვერდით არ იდგნენ ექიმები: დორა მონასელიძე და სანათა ჩოხელაშვილი, ექთანები: ვენერა ნაზაროვა, ნაზი ჯეირანაშვილი და სხვები. როგორ დაამთავრებდა ოთხკედელშუა გამომწყვდეული ბიჭი საშუალო სკოლას, ამხანაგებისა და პედაგოგების ყოველდღიური ზრუნვა-დახმარების გარეშე?

დღეს ასევე გულმხურვალედ ზრუნავენ მასზე საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი გ. ჯიბლაძე, ქუთაისის პედინსტიტუტის რექტორი, პროფესორი კ. მეძველია, პრორექტორი ვ. ირემაძე, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი ფ. ფანცხავა და მისი თანამშრომელი რუსუდან მალანია, რომელიც დაუზარებლად უზიდავს ოთარს საჭირო ლიტერატურას, ან, თუ გნებავთ, ჩუმი, უწყინარი, კეთილი პარიკმახერი მ. ისეროვიჩი, აგერ 12 წელია უსასყიდლოდ რომ დადის სიხარულიძეების ოჯახში.

... ყოველ დღეს მოაქვს ამ ოჯახში ახალ-ახალი სიხარული, — არა, დღეებს კი არა, ადამიანებს — ნათესავს, მეზობელს, ნაცნობს თუ უცნობს. ზოგმა მათგანმა ჩვენი ჟურნალიდან გაიგო ოთარის ამბავი და სწერენ წერილებს, აკითხავენ, აიმედებენ...

„...ძმაო ოთარ, დამშვიდობებისას დაგპირდი, რომ ამ ზაფხულს მანქანით ჩამოგაკითხავდი და სოფელში წაგიყვანდი, შემდეგ გამახსენდა, რომ შენ მანქანით ვერ იმგზავრებ. ეტყობა, ეს დარდად ჩამყვა გულში და წუხელ მესიზმრა, ურმით მომყავდი...“

რა სიხარული ედგა ოთარს თვალებში, როდესაც ამ ბარათს გვიკითხავდა, სიხარული და იმედი... დიახ, იმედი იმ დაუწერელი კანონისა, რომელიც ამოქმედებს ზემომაჩხაანელს, ქუთაისელს თუ



თბილისი. ნ. ბარათაშვილის სახელობის ხიდი.

ფერადი ფოტო დ. იაკობაშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომლის მიხედვით პლენუმმა მოიწონა საბჭოთა ქალების კომიტეტის მუშაობა ქალთა საერთაშორისო მოძრაობაში და მისი პოზიცია ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციაში.

პლენუმმა აღნიშნა, რომ კომიტეტი, გამოხატავს რა საბჭოთა ქალების ნებას, ყველა ქვეყნისა და კონტინენტის პროგრესულ ქალებთან ერთად აქტიურად იცავს მშვიდობის საქმეს, მხარს უჭერს ეროვნული დამოუკიდებლობის, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლ ხალხებს, აქტიურად ეხმარება ქალებს ჭეშმარიტი თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლაში; ესწრაფვის რა საბჭოთა და საზღვარგარეთელ ქალთა შორის ურთიერთგაგებასა და მეგობრობას, კომიტეტს დამყარებული აქვს კავშირი მსოფლიოს ასზე მეტი ქვეყნის ქალებთან და მრავალ ეროვნულ და საერთაშორისო ორგანიზაციასა და მოძრაობასთან, აწარმოებს მათთან გამოცდილების ურთიერთ გაზიარების, დელეგაციებისა და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლას.

აღსანიშნავია ის დიდი საქმიანობა, რომელიც ჩაატარა კომიტეტმა საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავთან დაკავშირებით, რომ გაეცნო მსოფლიოს ქალთა საზოგადოებრიობისათვის საბჭოთა ხალხის მიღწევები, საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკა. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალთა საერთაშორისო სიმპოზიუმს, რომელიც მიეძღვნა ქალის როლს სოციალისტურ საზოგადოებაში. სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღო 90 ქვეყნისა და 10 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

პლენუმის მონაწილეები მიესალმნენ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინიციატივას და აუცილებლად მიიჩნიეს, ფართოდ გაშალონ ყოველმხრივი მოსამზადებელი მუშაობა კონგრესის ჩასატარებლად.

პლენუმმა დიდი მადლობის გრძნობით აღნიშნა ყველა მათი ღვაწლი, ვინც ასრულებს თავის ინტერნაციონალურ ვალს და შეაქვს საკუთარი დანაზოგები მშვიდობის ფონდში, და მოუწოდა საბჭოთა ქალებს, უფრო მეტად დაეხმარონ კომიტეტს მის საქმიანობაში, აქტიური მონაწილეობა მიიღონ კონგრესისათვის სამზადისში.

თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად პლენუმმა მიიჩნია კომიტეტის მოღვაწეობის კიდევ მეტად გაძლიერება.

— მეტი მორალური და მატერიალური დახმარება ანგოლის, მოზამბიკის, „პორტუგალიის" გვინეის, სამხრეთ აფრიკის, სამხრეთ როდეზიის ქალებსა და ბავშვებს, — ყველას, ვინც იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, რასიზმის წინააღმდეგ.

— დავეხმაროთ აფრიკის ახალგაზრდა, დამოუკიდებელი ქვეყნების ქალთა ორგანიზაციებს უცოდინარობის ლიკვიდაციასა და ქალთა პროფესიონალური კადრების მომზადებაში.

— გავაგრძელოთ სოლიდარობის აქციები საბერძნეთის, პორტუგალიის, ესპანეთის, ლათინური ამერიკის ქვეყნების დემოკრატიისა და პროგრესისათვის მებრძოლთა მიმართ.

— კიდევ მეტად განვამტკიცოთ და განვავითაროთ თანამშრომლობა სოციალისტური ქვეყნების ქალთა ორგანიზაციებთან.

განსაკუთრებული მღელვარებით ლაპარაკობდნენ პლენუმის მონაწილეები ამერიკის შეერთებული შტატების დანაშაულებრივი აგრესიული პოლიტიკის შესახებ ვიეტნამში.

— კიდევ უფრო გავაღრმავოთ მეგობრობა ვიეტნამის ქალთა ორგანიზაციებთან, მეტად დავეხმაროთ მათ. ამერიკელთა ბარბაროსული მოქმედება ვიეტნამში, მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების განადგურება და აწიოკება, ვიეტნამელ ქალთა და ბავშვთა აუწერელი ტანჯვა — მრისხანებითა და ტკივილით ავსებს ყოველი საბჭოთა ქალის, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის გულს.

საბჭოთა ქალების კომიტეტი მხურვალედ უჭერს მხარს სტოკჰოლმის კონფერენციის მიერ მიღებულ დოკუმენტებს ვიეტნამის საკითხებთან დაკავშირებით.

ყველა საბჭოთა ქალის სახელით მოვითხოვთ:

— შეწყდეს ბინძური ომი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე; გამოყვანილი იქნას ამერიკის შეერთებული შტატების ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან და საშუალება მიეცეს ვიეტნამელ ხალხს თვითონვე მართოს თავისი საშინაო საქმეები, განთავისუფლების ეროვნული ფრონტის პოლიტიკური პროგრამის საფუძველზე.

დიდი, უანგარო დახმარება, რომელსაც უწევს ჩვენი ქვეყანა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ვიეტნამელ ხალხს, მხურვალე გამოხმაურებას პოულობს საბჭოთა ქალების გულში.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და სამართლიანობა, აღიმაღლოს პროტესტის ხმა, ფართოდ გაშალოს სოლიდარობის კამპანია ვიეტნამის გმირ ხალხთან, მოთხოვოს ამერიკის შეერთებულ შტატებს შეწყვიტოს დანაშაულებრივი აგრესია ვიეტნამში.

ხელები შორს ვიეტნამისაგან!

სამართლიანი საქმე ვიეტნამელი ხალხისა, გაიმარჯვებს!

# ღია ბარათი ჩემს უცნობ მშობლებს

ძვირფასო რედაქცია! წავიკითხე „საქართველოს ქალში" გამოქვეყნებული წერილი — „ღია ბარათი ჩემს უცნობ მშობლებს". როგორც ხედავთ, სათაური შევცვალე, მინდა გულახდილად მოგიყვეთ ჩემი ამბავი:

ვცხოვრობ ქ. ზუგდიდში. ვარ IX კლასის ფრიადოსანი მოსწავლე. ჩვენი ოჯახი შედგება 4 სულისაგან: დედა, მამა, ბებია (ბებია პენსიონერია, წინათ ლიტერატურას ასწავლიდა) და მე. ვცხოვრობთ ტკბილად, ჩვენს მყუდროებას არღვევდნენ მხოლოდ „მოვალეები", რომლებიც ყოველი თვის 21 რიცხვში გამოცხადდებოდნენ ხოლმე. ისინი ცოლ-ქმარი იყვნენ; როცა მოვიდოდნენ, რაღაც აგდებით ელაპარაკებოდნენ ჩემს მშობლებს. მე მაშინვე ამხანაგებთან გამიშვებდნენ.

გუმანით ვგრძნობდი, კარგი ადამიანები არ იყვნენ და ჰირივით მძულდა ისინი. ვიცოდი, მთელი საათობით რაღაცას ედავებოდნენ დედას და მამას. ერთხელ დედამ მითხრა: ძალიან ბევრი ფული გვასესხეს და თანდათან ვიხდითო. ფულის სესხებამიღება რა ჩემი საქმე იყო, ამიტომ ყურადღებასაც არ ვაქცევდი მათ.

იმ დღესაც, 21 მაისს, ისინი დაბარებულებივით მოვიდნენ. საგამოცდო ბილეთები ავიღე და ამხანაგთან წავედი. მანანა შინ არ დამხვდა, მალე უკან მოვბრუნდი და შემდეგი საუბრის მოწმე გავხდი:

ᲗᲐᲚᲘᲙᲝ (ასე ჰქვია იმ ქალს): იცოდე, ფული მომიმატეთ, თორემ ვეტყვი შორენას (ე. ი. მე), რომ იგი თქვენი კი არა, ჩემი შვილია! რა არის თვეში 150 მანეთი, 200 უნდა მომცეთ!

თავზარი დამცა ამ ადამიანების გათახსირებამ. ... უცებ გონზე მოვედი, ხელი ვტაცე უთოს და ოთახში შეშლილივით შევვარდი, მამა და ბებია გაფითრდნენ, დედას კი გული წაუვიდა.

მერე აღარაფერი მახსოვს... გონზე ლოგინში მოვედი, გვერდზე მესხდნენ ჩემთვის ყველაზე ახლობელი და ძვირფასი ადამიანები: დედა, მამა, ბებია.

მარტო შვილის გაჩენა კი არ ანიჭებს ადამიანებს მშობლების უფლებას, მთავარია, მისი აღზრდა, მასზე ზრუნვა, მისი სიყვარული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიზანშეწონილობის ჰარმონია

**ბიოარქიტექტურაზე, ახალ საამშენებლო მეცნიერებაზე, მოგვითხრობს პროფესორი მ. ს. ტუპოლევი, მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტის საცხოვრებელი სახლების საკონსტრუქტორო კათედრის გამგე.**

ხუროთმოძღვრის თვალი ბუნებაში პირველად მხოლოდ სილამაზის ჰარმონიას ხედავდა. სწორედ ეს ჰარმონია ისესხა ბუნებისაგან ადამიანმა — მშენებელმა, როცა დედამიწაზე შენობებს აგებდა. აფრიკის მსუბუქ ნაგებობებში ხეებისა და ყვავილების მოხაზულობები იცნობა, ძველ აღმოსავლურში კი — ცისკენ აზიდული ფიჭვების კენწეროები. ლე კორბიუზიეს, თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს არქიტექტორს, არაერთხელ უთქვამს თავის განთქმულ ჩანდიგარხზე, რომელიც ქალაქ პენშია აგებული, რომ მშენებლობის დროს ვცდილობდი მისთვის ბუნების სილამაზე შთამებერაო.

არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ბუნებისაგან ასლის გადაღებისას, მშენებელი მასში მხოლოდ გარეგნულ ფორმებს ხედავდა, და ძალიან მცირენი თუ უფიქრდებოდნენ იმას, რომ ბუნება არა მარტო ლამაზადაა აგებული, არამედ, თითქმის, იდეალურადაცაა გაანგარიშებული, რომ ბუნება თითოეული ქმნილების აგებისას საუკუნეებით ხვეწავს და ერთ მთლიანობაში აკავშირებს სილამაზის ჰარმონიასა და მიზანშეწონილებას — აძლევს მას იმ ერთადერთ სწორ ფორმას, რომელიც ინჟინრის თვალით იდეალურია.

აქ ასეთ მაგალითს მოვიყვანთ: ვთქვათ, არქიტექტორს აზრად მოუვიდა ააგოს ისეთი შენობა, რომელიც ემსგავსება ობობას. რა თქმა უნდა, ასეთი ნაგებობა ყველა საინჟინრო მოთხოვნას რომ აკმაყოფილებდეს, „ობობას“ რთული ხლართები ქაღალდზე წარმოიქმნებოდა ხანგრძლივი მათემატიკური გაანგარიშების შემდეგ, გამიზნული იქნებოდა ცალკეული ძაფის მდებარეობა, ობობა კი, როცა თავის რთულ ბადეს ქსოვს, მხოლოდ საუკუნეების მანძილზე გამომუშავებულ ინსტიქტს ეყრდნობა. სხვადასხვა სახის ობობას ქსელის „კონსტრუქცია“ სხვადასხვანაირი აქვს. თითოეული მათგანი ინჟინრისათვის იდეალურია, რადგანაც ის ბუნების მიერ საუკუნეების მანძილზეა შემოწმებული. მაშინ, ხომ არ შეიძლებოდა რთული გაანგარიშების გარეშე, უბრალოდ გადმოვიღოთ ობობის ასლი და იმდენჯერ გავადიდოთ, რამდენიც ფოლადს, ბეტონსა და შუშას დასჭირდება?

ბიოარქიტექტურის პრობლემები, რა თქმა უნდა, არ შეიძლება გამარტივებულად წარმოვიდგინოთ, თუმცა ეს მაგალითი ამ მეცნიერებას, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში ბიონიკის კვალდაკვალ წარმოიშვა, საკმაოდ ნათლად ასურათებს. ძიება იმისათვის კი არ წარმოებს, რომ მხოლოდ ახალი გადაიღო, არამედ იმისათვის, შეისწავლო ბუნების „საინჟინრო“ გადაწყვეტა, გაერკვე იმ კანონებში, რომლებითაც ბუნებას გაანგარიშებული აქვს თავისი კონსტრუქციები.

მაგალითად, გაძოირკვა, რომ პარიზის ეიფელის კოშკის კონსტრუქცია თითქმის ზუსტად ემთხვევა ადამიანის წვივის ძვლის „კონსტრუქციას“. ბუნება და ადამიანი ურთიერთდამოუკიდებლად მივიდნენ ერთსა და იმავე დასკვნამდე: ეიფელს ბუნებისათვის არ მიუბაძავს, მან წმინდა მათემატიკური მეთოდებით გაიანგარიშა თავისი კოშკი. ამრიგად, ადამიანის საინჟიხრო გადაწყვეტა და ბუნება ერთნაირი აღმოჩნდნენ, ბიოარქიტექტურა კი — ეს არის გააზრებული ძიება არქიტექტურული ფორმებისა, რომლებიც თითონ ბუნებისაგანაა იდეალურად გაანგარიშებული. რაც უფრო ხშირად მიმართავს არქიტექტორი ბუნებას, მით უფრო ანცვიფრებს მისი ინჟინრული გადაწყვეტილებანი, ნახულობს თავისი შენობების ან მათი ცალკეული დეტალების მზა ნიმუშებს. მაგალითად, როცა ბერლინის მწვანე თეატრისათვის ეკრანს აგებდნენ, საყრდენი ააშენეს იმავე სქემით, რომლითაც ბუნებამ ააშენა დიათომური წყალმცენარეების ნიჟარები, აქაც რთული გაანგარიშების მაგივრად, რომელიც ჩვეულებრივ წინ უძღვის ახალ არქიტექტურულ კონსტრუქციებს, მშენებლებმა ზუსტად გაიმეორეს ბუნებისაგან ნაკარნახევი პროპორციები და მხოლოდ ფიზიკური გამოცდით დაკმაყოფილდნენ.

იმავე მიზანშეწონილობის ჰარმონიის კანონებით აგებენ არქიტექტორები ზღვის ნიჟარების მსგავს სახლებს. ცნობილი არქიტექტორი ე. საარინენი ბუნებას დაესესხა თავისი ერთ-ერთი ნაგებობის — ნიუ-იორკის აეროვაგზლის გადაწყვეტას; ამ შენობის ფართობი ისეა გაანგარიშებული, როგორც მონავარდე ფრინველის გაშლილი ფრთები.

შემთხვევითი როდია, რომ არქიტექტურა, ისე როგორც ცოტა ხნის წინ ტექნიკა, ბუნებისაკენ დაიძრა. ჯერ კიდევ ენგელსი ამტკიცებდა, რომ მეცნიერების განვითარებასა და ბუნების შეცნობასთან ერთად, ადამიანები არა თუ შეიგრძნებენ, არამედ შეიგნებენ კიდევაც თავიანთ მთლიანობას ბუნებასთან.

ბიოარქიტექტურის საუკუნე, რა თქმა უნდა, მხოლოდ დაიწყო, და მასზე ვერ ვილაპარაკებთ ისე, როგორც კიბერნეტიკასა და ასტროფიზიკაზე, მაგრამ უკვე ნათელია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, ნატურალისტის მიკროსკოპიცა და სკალპელიც არქიტექტორის ხელში ისეთ სამუშაო ინსტრუმენტად იქცევა, როგორიცაა სახაზავი და ფანქარი.

ცხადია, ბიოარქიტექტურა, რომელიც ახლა პირველ ნაბიჯებს დგამს, სულ უფრო გაბედული გახდება. მაშინ დედამიწაზე ისეთი შენობები აღიმართება, რომლებიც თითქოს აშენებულ იქნება უდიდესი არქიტექტორის — ბუნების მიერ.

# ვაჟია თუ ქალი?

**რატომ ემსგავსებიან შვილები მშობლებს? და, ამავე დროს, უბრალოდ მათი ასლები კი არ არიან, არამედ თავისი საკუთარი ნაკვთები აქვთ? რაზეა დამოკიდებული ბავშვის სქესი? ვინ არის „დამნაშავე“ — დედა თუ მამა — იმაში, რომ ოჯახში ქალი გაჩნდა და არა ვაჟი (ან პირიქით)? რა მისცა ბავშვს თითოეულმა მშობელმა?**

ეს საკითხები ადამიანებს უხსოვარი დროიდან აღელვებდათ და რადგან ზუსტი ცნობები არ ჰქონდათ, ბუნებრივია, ფანტაზიას მიმართავდნენ. ეგვიპტესა და ძველ საბერძნეთში, მაგალითად, ეგონათ ჩანასახის შემქმნელი მამაა, დედა კი ჩანასახს მხოლოდ „თავშესაფრითა და საკვებით“ ამარაგებსო. მელანეზიელები კი დარწმუნებულები იყვნენ, ბავშვს მხოლოდ დედა ჰქმნისო...

სქესის ჩამოყალიბების საიდუმლოებას ფარდა ახადა გენეტიკამ — მეცნიერებამ მემკვიდრეობის შესახებ.

ადამიანს ორი სახის უჯრედები გააჩნია: სომატური — ამათგან შედგება ყველა ჩვენი ორგანო და ქსოვილი — და სქესობრივი, რომელთა ერთადერთი ფუნქცია შთამომავლობის წარმოქმნაა.

სომატური უჯრედები პირდაპირი გაყოფის გზით წარმოიქმნებიან: ერთი უჯრედიდან ორი ახალი ჩნდება, ყოველი შვილეული უჯრედი ისევ ორად იყოფა და ასე შემდეგ. უჯრედების გაყოფის გზით იზრდება ბავშვი, ხორცდება ჭრილობა, ხორციელდება ჩვენი ორგანოებისა და ქსოვილების „მიმდინარე რემონტი“. სხვადასხვაგვარი სომატური უჯრედები — კანის, კუნთების, ნერვული თუ სხვა — მნიშვნელოვ-

ნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც თავისი დანიშნულებით, ასევე გარეგნულადაც. მაგრამ, ამის მიუხედავად, ყველა ეს უჯრედი აგებულია ერთი სქემით: ბირთვი, ციტოპლაზმა, უჯრედის გარსი.

ვცადოთ და წარმოვიდგინოთ, თუნდაც მიახლოებით, რა ემართება სომატურ უჯრედს გაყოფისას. ამ შემთხვევაში, როგორც საერთოდ უჯრედის ცხოვრებაში, მთავარი როლი ბირთვს მიეკუთვნება. ბირთვი ამოვსებულია ნივთიერებით, რომელიც, ჩვეულებრივ, ერთგვაროვანია, მაგრამ გაყოფის წინ შეიკრიბება კომპაქტურ მოგრძო სხეულაკებად — ქრომოსომებად, რომლებიც შუა-შუა იხლიჩებიან და გარკვეული წესით მიემართებიან უჯრედის პოლუსებისაკენ. ამგვარად, როცა უჯრედი გაიყოფა, თითოეულ შვილეულ უჯრედში აღმოჩნდება ქრომოსომების იგივე კომპლექტი, როგორიც იყო პირველ დედა უჯრედში. საინტერესოა ის გარემოება, რომ ყოველ ბიოლოგიურ სახეობას ამ ქრომოსომთა რიცხვი მუდმივი აქვს: სიმინდს, მაგალითად, 20 ქრომოსომი აქვს, ქათამს — 18, ადამიანს — 46. ერთი სიტყვით, ყოველი ჯანმრთელი ადამიანის სომატურ უჯრედში 46 ქრომოსომია.

სქესობრივ უჯრედებში უფრო სხვაგვარი მდგომარეობაა. პირველადი სქესობრივი უჯრედები, რომლებისგანაც წარმოიქმნება როგორც ქალის სასქესო უჯრედი — ე. წ. კვერცხუჯრედი, ისე მამაკაცისა — სპერმატოზოიდი. შეიცავენ (როგორც ყველა სხვა უჯრედი) 46 ქრომოსომს. მაგრამ ისინი უჩვეულოდ იყოფიან. მათი ქრომოსომები კი არ იხლიჩებიან, არამედ წყვილ-წყვილად ლაგდებიან და სხვადასხვა მხარეს მიემართებიან, ამიტომ შვილეულ უჯრედებში (ამ შემთხვევაში, კვერცხუჯრედში ან სპერმატოზოიდში) მოხვდება არა ყოველი ქრომოსომის ნახევარი, არამედ ქრომოსომების ყოველი წყვილიდან თითო მთელი ქრომოსომი, ესე იგი, სულ 23 ქრომოსომი. განაყოფიერების მომენტში ეს „ნახევარი" ქრომოსომები ერთიანდებიან და განაყოფიერებულ კვერცხუჯრედში ქრომოსომთა საერთო რიცხვი კვლავ 46 ხდება.

როგორ ვითარდება ერთი ჩანასახოვანი უჯრედიდან ასეთი რთული და მრავალფეროვანი, მრავალუჯრედოვანი ორგანიზმი? ისევ გაყოფის გზით. განაყოფიერებული კვერცხუჯრედი ორად იყოფა და ამჯერად თითოეული შვილეული უჯრედი 46 ქრომოსომის კომპლექტს ინარჩუნებს, შვილეული უჯრედები კვლავ იყოფა და ა. შ. ჩანასახის განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, უჯრედების მასის დაგროვებასთან ერთად, იწყება მათი სპეციალიზაცია. ზოგი უჯრედებისგან ნერვული ქსოვილი წარმოიქმნება, ზოგისაგან — კანი, კუნთები, ჩონჩხი, შინაგანი ორგანოები და სხვა. ამგვარად, ჩვენი სხეულის ყველა უჯრედი წარმოიშობა განაყოფიერებული კვერცხუჯრედისაგან და ყველა უჯრედი იმეორებს



ასე წარმოიქმნება სომატური უჯრედები.



ასე წარმოიქმნება სქესობრივი უჯრედები.



ადამიანის ქრომოსომის ბირთვი გაყოფისას.

ვაჟი თუ ქალი?




მის ქრომოსომულ კომპლექტს — ყოველ მათგანში „მამისეულ" და „დედისეულ" ქრომოსომთა ტოლი რაოდენობაა.

* * *

ქრომოსომები გასული საუკუნის დამლევს აღმოაჩინეს და იმ ხნიდან მოყოლებული, დღესაც ისინი მეცნიერთა დიდ ყურადღებას იქცევენ. თანამედროვე ტექნიკამ თავისი უზუსტესი ხელსაწყოებით საშუალება მისცა სწავლულებს, არა მარტო ჩაეხედათ ამ ციცქნა სამყაროში, რომლის დიამეტრი მილიმეტრის მეათასედი ნაწილია, არამედ დაეყოთ კიდეც ის შემადგენელ ნაწილებად, ცალ-ცალკე დაჰკვირვებოდნენ თითოეულ ქრომოსომს.

გამოირკვა, რომ განსაზღვრული ფორმისა და ოდენობის ყოველ ქრომოსომს გააჩნია თავისი შესაფერისი წყვილი. სწავლულებმა შეკრიბეს ეს წყვილები და გაანაწილეს ისინი სიგრძის მიხედვით. შემდეგ, როცა მეცნიერებმა შეადარეს მამაკაცისა და ქალის ორი სრულიად ერთნაირი უჯრედის ქრომოსომული კომპლექტი, მათ შეძლეს ამოეხსნათ მარადიული რებუსი — ვაჟი თუ ქალი?

გამოირკვა, რომ მამაკაცის ქრომოსომთა კომპლექტის 22 წყვილისათვის შეიძლება შეირჩეს შესატყვისი ქრომოსომები ქალის ქრომოსომულ კომპლექტში და მხოლოდ ერთი წყვილი წარმოადგენს გამონაკლისს. ქალისაში ეს წყვილი შედგება ორი ჯვრისებური ქრომოსომისაგან, მამაკაცისაში კი — ორი სხვადასხვა ქრომოსომისაგან, რომელთა შორის ერთს ჯვრისებური ფორმა აქვს, მეორეს კი V მაგვარი. აი, სწორედ ეს წყვილი განსაზღვრავს მომავალი ბავშვის სქესს. ამ წყვილის ქრომოსომებს სასქესო ეწოდება და აღინიშნება ლათინური ანბანის ასოებით: x (იქსი) და y (იგრეკი). მამაკაცის ქრომოსომული კომპლექსი აღინიშნება ფორმულით xy, ქალისა კი — xx.

ახლა ის გავიხსენოთ, რომ სქესობრივი უჯრედების მომწიფებისას სპერმატოზოიდსა და კვერცხუჯრედში ქრომოსომთა ყოველი წყვილიდან მხოლოდ თითო-თითო ქრომოსომი მოხვდება. ქალის მხრიდან ეს ყოველთვის იქნება x — ქრომოსომი, მამაკაცის სპერმატოზოიდები კი ზოგი x — ქრომოსომს შეიცავს, ზოგი y — ქრომოსომს. და თუ კვერცხუჯრედი ისეთმა სპერმატოზოიდმა გაანაყოფიერა, რომელიც x — ქრომოსომს შეიცავს, ქალი გაჩნდება, ხოლო თუ y — ქრომოსომის მატარებელმა სპერმატოზოიდმა — მაშინ ვაჟი. ამგვარად, მომავალი ადამიანის სქესი უკვე ჩასახვის მომენტშივე განისაზღვრება და ის მთლიანად მასზეა დამოკიდებული.

ხოლო მომავალი ბავშვის თვისებები — მისი ფრჩხილის ფორმა თუ მათემატიკის ნიჭი — ერთნაირად არის დამოკიდებული როგორც მამის, ისე დედის სქესობრივ უჯრედებში ჩანერგილ მემკვიდრეობით ნივთიერებებზე.

სომატური უჯრედები, როგორც ზემოთ ვთქვით, ზუსტად იმეორებს განაყოფიერებული კვერცხუჯრედის ქრომოსომულ კომპლექტს. ყოველ მათგანში „ჩაწერილია" ორგანიზმის მომავალ თვისებათა მთლიანი ნუსხა.

ქრომოსომები — გოლიათებია მოლეკულათა სამყაროში და შედგებიან ДИК-ს — დეზოქსირიბონუკლეინის მჟავის — ერთი გრძელი ჯაჭვისაგან. ეს ჯაჭვი დაყოფილია გენებად — უბნებად, და ყოველი უბანი „პასუხისმგებელია" ამა თუ იმ შთამომავლობითს ნიშანზე.

გენები ქრომოსომებში განსაზღვრული წესით არიან განლაგებული: ყოველ წყვილს

(რომელიც, როგორც ვიცით, შედგება მამისა და დედის ქრომოსომებისაგან) თავისი ადგილი აქვს. ვთქვათ, ერთ-ერთ ქრომოსომში, სხვა გენებს შორის, არის გენი, რომელიც „პასუხს აგებს“ ცხვირის ფორმაზე, ამავე წყვილის მეორე ქრომოსომში იმავე ადგილზე მდებარეობს ასეთივე დანიშნულების გენი. „ცხვირებზე პასუხისმგებელი“ ამ ორი გენის თავისებურება შეიძლება სხვადასხვა იყოს: ერთ-ერთში, შეიძლება, დაპროგრამებულია პაჭუა ცხვირი, მეორეში კი — კეხიანი. ამგვარი კომპლექტის პატრონის ცხვირის ფორმა იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი გენია უფრო აქტიური — პაჭუასი თუ კეხიანის. ზოგჯერ დედის გენები ჯობნიან და ბავშვი უფრო დედას ემსგავსება, ზოგჯერ — მამისა და მაშინ ბავშვი მამას ემსგავსება. უფრო ხშირად კი ბავშვი ცოტ-ცოტას მიიღებს მამისგანაც და დედისგანაც.

რაც შეეხება გენების აქტიურობისა და პასიურობის მიზეზს, ეს საკითხი ძალიან რთულია და ჯერაც არ არის ბოლომდე გარკვეული.

მაგრამ ხომ ხდება ისეც, რომ ბავშვი არც დედასა ჰგავს და არც მამას? გენეტიკა ამ შემთხვევისთვისაც პოულობს ახსნას. ვთქვათ, ორივე მშობლის ქრომოსომულ წყვილში აქტიური იყო „სწორცხვირიანობის გენი“ და უფრო სუსტი — „პაჭუა ცხვირის გენი“ (ეს ტერმინები ძალზე პირობითია, ამიტომ ვწერთ ბრჭყალებში). ქრომოსომთა განაწილების დროს კი სასქესო უჯრედში სწორედ ის ქრომოსომები მოხვდნენ, რომლებშიც „პაჭუა ცხვირის გენი“ იმყოფება. აი, ამ შემთხვევაში სწორცხვირიან დედ-მამას პაჭუა ცხვირიანი ბიჭი შეეძინება (ასევე, თაფლისფერთვალება მშობლებს — შავთვალა გოგონა).

ამრიგად, უამრავი ნაკვთი თუ თვისება, რომელთა ერთობლიობა განსაზღვრავს ყოველი ცოცხალი არსების განუმეორებელ თავისებურებას, ჯერ კიდევ დაბადებამდეა დაპროგრამებული ქრომოსომთა უმცირეს ნაწილაკებში — გენებში.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ორგანიზმის ამა თუ იმ მემკვიდრეობითი მონაცემების გამოვლენაში, ან, პირიქით, ჩახშობაში, დიდი როლი ენიჭება გარემო პირობებს, ეს საკითხი კი ცალკე მსჯელობის თემაა.

# შანელის მოდები

თითქმის ნახევარი საუკუნის წინ მოვიდა ფრანგული მოდის სამყაროში გაბრიელ შანელი, და ეს სახელი, რომელმაც სულ რამდენიმე წელში მოიპოვა პოპულარობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, დღესაც სინონიმია მაღალი გემოვნებისა და ელეგანტობის.

თუ სხვა მოდელიორები თავის კოლექციებს ძირითადად ახალგაზრდა გოგონებისთვის ქმნიან და ცდილობენ რაღაც უჩვეულოთი, არნახულით გააოცონ მნახველი და ამ უჩვეულოს ძიებაში ხშირად აბსურდამდე მიდიან, შანელი თავის მოდელებს ე. წ. ელეგანტური ასაკის ქალებისათვის (ოცდაათ წელს ზევით) ჰქმნის, რომლებსაც ყველაზე მეტად უხდებათ გამოთქმა — „ძვირფასი სისადავე“.

დიახ, ეს მოდელები, ერთი შეხედვით, უბრალოა, მაგრამ გაოცებს ხაზების სიზუსტე და საოცარი, მხოლოდ შანელისთვის დამახასიათებელი დახვეწილობა და ელეგანტობა, და კიდევ ერთი რამ — ნაწარმის შესრულების უზადობა.

ამბობენ, შანელის მოდების გადაღება შეუძლებელიაო.

შანელის სტილზე არ მოქმედებს მოდის ცვალებადობა, ის არასოდეს არ ძველდება. შანელი არავის ბაძავს, მას არასდროს არ ღალატობს მაღალი გემოვნების შინაგანი გრძნობა, რომლითაც ეს ქალი ბუნებამ დააჯილდოვა.

განსაკუთრებით სახელგანთქმულია შანელის ფირმის კოსტუმები.

შანელის კოსტუმები აუცილებლად ანსამბლია: ან კოსტუმი ბლუზით ან კაბა ჟაკეტით. სწორი და ტანზე ნახევრად მომდგარი ჟაკეტი — არც ძალიან გრძელი, არც მოკლე; ერთბორტიანი ან ორბორტიანი; საყელოთი და რივერებით, ან — უსაყელო; ქვედატანი სწორი, წინ ნაკეცით, ან ქვევით ოდნავ გაგანიერებული, უნაკეცოდ.

მაგრამ შანელის კოსტუმისათვის ყველაზე დამახასიათებელია ჯიბეები, ღილები და არშია — ბორდიური (დეკორატიული თამასა, ზონარი, ფოჩი, ბეიკა, ხელით ნაქსოვი), რომლითაც დაგვირისტებულია საყელო, ბორტები, ჯიბეები, კლაპანებისა და სახელოების ნაპირები, ჟაკეტის ქვემო პირი.

ღილებს შანელი თვითონ ჰქმნის თავისი მოდელებისათვის. ღილები კეთდება ბორტებზე, ჯიბეებზე და აუცილებლად — სახელოს ნაკერის გასწვრივ — შლიცებზე (არანაკლებ სამისა). ისინი ისე გეგმიანადაა განლაგებული, რომ მათი რიტმი აგვირგვინებს ანსამბლის კომპოზიციას.

ჟაკეტის სარჩული და ბლუზა ხშირად ერთი ქსოვილისაგანაა შეკერილი.

ბლუზის საყელო მთავრდება ბაფთით ან ქინძისთავით დამშვენებული ჰალსტუხით. საგულდაგულოდ მოფიქრებული, დიდი გემოვნებით შერჩეული ელეგანტური წვრილმანი მოსართავი, რომელიც ასე ამშვენებს შანელის კოსტუმებს და მხოლოდ ახლო მანძილიდან შეიმჩნევა — აბზინდი, ქამარი ძეწკვითა და ბრელოკით და სხვა — ყოველთვის დიდი ტაქტით იხმარება და გვატყვევებს თავისი სისადავითა და დახვეწილობით.

შანელის კოსტუმი ყველგან ჩაიცმება — სამსახურში, მატარებელსა თუ თვითმფრინავში, თეატრში და ბანკეტზე.

ვინც წლების მანძილზე ადევნებს თვალს გაბრიელ შანელის შემოქმედებას, შეიძლება მოეჩვენოს, რომ ის ახალს არაფერს იგონებს და მხოლოდ თავის საყვარელ ფორმათა ვარიაციებს ჰქმნის. მაგრამ ეს არ იქნება სწორი. შანელის ძიება უპირველესად მიმართულია ახალი სტრუქტურისა და მოხატულობის ქსოვილების, ახალი პროპორციების ძიებისაკენ. განსაკუთრებული სიფრთხილით არჩევს ის აქსესუარებს — ქუდებს, ხელჩანთებს. ასევე საგულდაგულოდ არის მოფიქრებული მისი ფირმის მემანეკენე ქალების ვარცხნილობა და გრიმი — ესეც თავშეკავებული და ზომიერი. და როცა მოსკოვში, მოდების საერთაშორისო კონგრესზე, სცენაზე მსუბუქი და თავშეკავებული გრაციით მიმოდიოდნენ შანელის მემანეკენე ქალები, გეგონებოდათ, ელეგანტობას, სილამაზესა და კეთილშობილებას აუდგამს ფეხიო.

**(მოდელები იხ. გარეკანის მესამე გვერდზე).**

**გარეკანის პირველ გვერდზე — ნიკოლოზ ბარათაშვილი, მეოთხე გვერდზე — „ნ. ბარათაშვილი მანანა ორბელიანის სალონში“. მხატვარი ლადო გუდიაშვილი.**

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჭავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონები — 99-56-47. 99-56-14. ფიზ. ფორმ. რაოდ. 1.75. პირობით ფორ. რაოდ. 5. 3.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VIII 68 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 100.000 შეკვ. № 2773. უე 10566 ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, ლენინის ქ. № 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი“.

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали»

Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# შანელის მოდები





КС 7с 76178

